ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ეკონომიკის ფაკულტეტი

ფერიდე მეშველიანი

ეკონომიკური გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკური სისტემა: ერთიანობა და წინააღმდეგობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ელგუჯა მექვაბიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს
პროფესორი

თბილისი-2019

სარჩევი

შესავალი 5
თავი I. ეკონომიკური გლობალიზაცია, როგორც თანამედროვე მოვლენა 8
1.1 გლობალიზაციის არსი და ჩამოყალიბების ეტაპები 8
1.2 საინფორმაციო საშუალებების და ტექნოლოგიების განვითარების როლი გლობალიზაციის პროცესში 14
1.3 გლობალიზაციის მთავარი გამოწვევები და წინააღმდეგობები 22
თავი II . ეროვნული ეკონომიკური სისტემა გლობალიზებულ ეკონომიკაში..... 28
2.1 სახელმწიფო ეკონომიკის როლი და ფუნქციები..... 28
2.2 ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები 36
2.3 გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები 46
თავი III. საქართველოს თანამედროვე ეკონომიკა გლობალიზაციის პროცესში..... 54
3.1 საქართველოს სანტრანზიტო ფუნქციის განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პროცესში 54
3.2 ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოში..... 59
3.3 „ახალი ეკონომიკის“ჩამოყალიბების პერსპექტივები და გამოწვევები 69
დასკვნა 79
გამოყენებული ლიტერატურა 86
ელექტრონული რესურსი 88
ცხრილების და დიაგრამების ნუსხა..... 89

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ეკონომიკური გლობალიზაცია, როგორც თანამედროვე მოვლენა, გლობალიზაციის არსი და ჩამოყალიბების ეტაპები გლობალიზაციის მთავარი გამოწვევები და წინააღმდეგობები თანამედროვე მსოფლიოში და საქართველოში.

ასევე ეროვნული ეკონომიკური სისტემა გლობალიზებულ ეკონომიკაში და სახელმწიფო ეკონომიკის როლი და ფუნქციები არსებულ სიტუაციაში, როგორია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები, ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გლობალიზაცია ურთიერთდამოკიდებულებაში.

ნაშრომში განხილულია საქართველოს თანამედროვე ეკონომიკა გლობალიზაციის პროცესში, როგორია საქართველოს სანტრანზიტო ფუნქციის განვითარების პერსპექტივები, ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოში. „ახალი ეკონომიკის“ ჩამოყალიბების პერსპექტივები და გამოწვევები. აღნიშნული საკითხების თეორიული და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შემუშავებულია დასკვნები.

Economic globalization and national economic system: unity and opposition

Feride Meshveliani

Master's thesis is to analyze economic globalization as a modern phenomenon, the essence of globalization and the stages of development, the main challenges and contradictions of globalization in the modern world and in Georgia.

As well as the national economic system in the global economy and the role and functions of the state economy in the current situation, what are the tendencies of national economy development, the economic policy of the national state and globalization in mutual attitudes.

The paper deals with the modern Georgian economy in the process of globalization, what are the prospects of development of Georgia's transit function, tourism development trends and perspectives in Georgia. Prospects and challenges for the establishment of "new economy". Conclusions have been developed based on theoretical and statistical data of these issues.

შესავალი

თემის აქტუალურობის დასაბუთება- სამაგისტრო ნაშრომის თემის „ეკონომიკური გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკური სისტემა: ერთიანობა და წინააღმდეგობის“ აქტუალურობა განპირობებულია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით.

ცნობილი ფაქტია, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში განვითარდა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება, რამაც გამოიწვია მასშტაბური გლობალიზაცია. თავდაპირველად ტერმინ „გლობალიზაციას“ ჰქონდა ეკონომიკური დატვირთვა, ხოლო შემდეგ მას ფართო და ყოვლისმომცველი, დედამიწაზე მიმდინარე პროცესების მნიშვნელობა მიენიჭა.

გლობალიზაცია შეეხო ყველა სფეროს ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს. მოხდა სხვადასხვა ცივლიზაციების შერწყმა. წაიშალა საზღვრები ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ განმასხვავებელ სფეროებში და თვით ქვეყნებიც გახდნენ ინტერნაციონალურები. ყოველივე ეს მკაფიოდ არის ასახული თითოეული ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, მენტალურ და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში.

ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ საქართველო წარმოადგენს ყოფილ საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყანას და მან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი გადაიტანა. ის მიეკუთვნება გარდამავალი ეკონომიკის რეფორმის პერიოდში მყოფ ქვეყანას და მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, როგორც ქვეყნის გარეთ ექსპორტს ისე ქვეყნის შიგნით შემოსულ ინვესტიციებს, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის მდგრადობას, სამუშაო ადგილების შექმნას და ქვეყანაში არსებული ფულადი ერთეულის გამყარებას სავალუტო ბირჟაზე.

საკითხის აქტუალურობა განპირობებულია იმ უარყოფითი მხარეებითაც რაც ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს ახლავს თან. ეს არის ეროვნული, ტრადიციული, პატრიოტული მიზეზები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო წარმოადგენს დიდი ქვეყნების პატარა მეზობელს და მისი ტერიტორიების 20% ოკუპირებული აქვს სახელმწიფოს, რომელთან ეკონომიკური ურთიერთობის შეწყვეტამ უდიდესი დარტყმა მიაყენა ქვეყანას. გლობალიზაციის პროცესში ხშირად ხდება ისე, რომ ერთი ქვეყანა დამოკიდებული ხდება მეორეზე ენერგო, სატრანზიტო ან სხვა სახის სასიცოხლოდ

მნიშვნელოვანი საშუალებების გამო, რაც შემდგომ პოლიტიკური სპეკულაციების საგანი ხდება.

გლობალიზაციის პროცესში საქართველო დგას გამოწვევის წინაშე, ის წარმოადგენს პატარა ქვეყანას, მას არ აქვს ენერგო რესურსები, იმყოფება პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციასა და ეკონომიკური კრიზისის პროცესში. ამიტომ, ეკონომიკის გლობალიზაციაში საქართველოს მონაწილეობა მნიშვნელოვანია ეკონომიკის გამოცდილი თეორიების გათვალისწინებით და ახალი ეკონომიკის შექმნით.

მიზნები: ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში სახელმწიფო ეკონომიკის როლის და სამოქმედო პოლიტიკის შესწავლას, ანალიზს და დადებითი/უარყოფითი მხარეების განზოგადებას. ასევე რეკომენდაციების შემუშავებას.

საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება. ნაშრომის კვლევის ობიექტია არსებული პირველადი და მეორადი წყაროები, გლობალიზაციასა და ეკონომიკის სფეროში. თანამედროვე ტენდენციები სახელმწიფო ეკონომიკურ ურთიერთობებში და თემასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები. კვლევის საგანია საქართველოს ეკონომიკა და მისი სტრატეგიები ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით.

კვლევისთვის გამოყენებული მეთოდები. კვლევის დროს გამოყენებულ იქნა სისტემურ-სტრუქტურული ანალიზის მეთოდი, შესწავლილ იქნა ნაშრომის თემის სფეროში არსებული სამეცნიერო ნაშრომები, ჩატარდა სტატისტიკური ანალიზი, დამუშავდა პირველადი და მეორადი წყაროები სინთეზისა და სისტემური მიდგომის საშუალებით.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა: ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ საქართველო წარმოადგენს გარდამავალი ეკონომიკის რეფორმის პროცესში მყოფ ქვეყანას, ამავდროულად ის პატარა ქვეყანაა, ამიტომ მისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზარზე ადგილის დამკვიდრება, ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინება, ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ მან შეინარჩუნოს ეროვნულობა და არ გახდეს კოსმოპოლიტიზმის მსხვერპლი, რის შედეგადაც შთანთქმულ იქნება მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ორი პრობლემის გადაჭრა რასაც მსოფლიო ბაზრის ათვისება და თავის დამკვიდრება ჰქვია, ოღონდ ისე

მოხდეს ეკონომიკურ გლობალიზაციაში აქტიური მონაწილეობა, რომ შენარჩუნებულ იქნას ქვეყნის ინდივიდუალიზმი კულტურულ-ეროვნული თვალსაზრისით.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები: ნაშრომის შესრულების მატერიალურ-ტექნკურ ბაზას წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული სამეცნიერო ნაშრომები და სახელმძღვანელოები, რომლებიც შექმნილია აღნიშნულ სფეროში. ასევე ელექტრონულ სივრცეში განთავსებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სტატისტიკები და სახელმძღვანელოები ეკონომიკის გლობალიზაციის საკითხთან დაკავშირებით. საინფორმაციო რესურსი ძირითადად იყო ინტერნეტში მოძიებული სტატისტიკური მონაცემები და კვლევები. საქართველოს სტატისტიკური მონაცემებისა და ეკონომიკის სამინისტროს ანგარიშები ეკონომიკის სფეროში. ასევე გამოყენებული იქნა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოყენებულ ყველა საჯარო ინფომაცია ღონისძიებების, დაგეგმვისა და ტურისტული სფეროს სტატისტიკური მონაცმების შესახებ.

თავი I. ეკონომიკური გლობალიზაცია, როგორც თანამედროვე მოვლენა

1.1 გლობალიზაციის არსი და ჩამოყალიბების ეტაპები

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი გლობალიზაცია მომდინარეობს ინგლისური სიტვისგან „globe" და ითარგმნება, როგორც გლობუსი ან დედამიწა. გლობალიზაცია ტერმინი კი ნიშნავს დედამიწაზე არსებული ქვეყნების ერთიან ურთიერთობას. თავდაპირველად ეს ურთიერთობა იყო ფინანსური ხასიათის თუმცა თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაცია ყველა სფეროს შეეხო, ეს ერთის მხრივ განაპირობა ტექნოლოგიების განვითარებამ.

ტექნოლოგიების განვითარების მეშვეობით ადვილი გახდა გადააადგილება და ურთიერთობები ქვეყნებს შორის, რამაც უფრო გაამყარა კავშრი და ხელი შუწყო ცივილიზაციების შერწყმას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გლობალიზაცია მოიცავს ისეთ სფეროებს, რგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, იდეოლოგიები, მოდის ტენდენციები და სხვა მრავალი სფერო, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში აქტუალური და საინტერესოდ მიიჩნევა. [1]

ზემოთ ჩამოთვლილი სფეროებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და უპირველესი არის ეკონომიკური გლობალიზაცია, ის საფუძვლად დაედო ზოგადად გლობალიზაციის განვითარებას და სწორედ ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე პროცესები განსაზღვრავს დანარჩენ სფეროებს, სოციალურ-პოლიტიკურ და გარკვეულწილად კულტურულ მოვლენებსაც. ამიტომ გლობალიზაციაში თავდაპირველად მოიაზრებოდა მხოლოდ ეკონომიკური შინაარსის ურთიერთობები ქვეყნებს შორის, რასაც საუკუნეების ისტორია აქვს. თუმცა მისი ყველაზე აქტიური და სწრაფად მზარდი სახე, თანამედროვე სამყაროს დამახასიათებელი თვისებაა. მისი განვითარება, უკავშირდება მსოფლიოში ეკონომიკისა და ტექნოლოგიების განვითარებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამერიკელი მეცნიერი თ. ლევიტი იყო პირველი, რომელმაც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენა ცნება „ ეკონომიკის გლობალიზაცია"

[1] მექვაბიშვილი ე. „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა თბ. 2018 გვ 19

1983 წელს. იგი ამ მცნებაში გულისხმობდა პროდუქტთა ბაზრების გაერთიანებას და შერწყმას მსოფლიო მასშტაბით. მეცნიერები ყურადღებას ამახვილებდნენ გლობალიზაციის ყოველი საფეხურის განსაზღვრაში.

ეკონომიკის განსაზღვრებას გამოეხმაურა ამერიკელი ეკონომისტი ლ.თუროუ, რომლის აზრითაც ეკონომიკა ნიშავს, ნებისმიერი ნივთის ნებისმიერ წერტილში შექმნა და ნებისმიერ ადგილას გაყიდვა. [2]

იგი თავის წიგნში „ეკონომიკის განმარტება“ თანაავტორ რ. ჰეიბრონერთან ერთად, გოლბალიზაციის აზრში ყურადღებას აქცევს ქვეყნების ეკონომიკურ კავშირებსა და მათ გაძლიერებას. [3]

გლობალიზაცია ხშირად ხასიათდება როგორც „ამერიკანიზაცია“ ან „ ვესტერნიზაცია“, რაც გამოწვეულია ამერიკის წამყვანი როლით გლობალიზაციაში. „ვაშინგტონის დოქტრინა“ საფუძვლად უდევს ამერიკის შეერთებული შტატებისთვის დამახასიათებელ ლიბერალურ საბაზრო მექანიზმს, რომელიც მოიცავს ქვევით ნახსენებ პრინციპებს:

- ეკონომიკის დარეგულირება,
- ეკონომიკის მსოფლიო ლიბერალიზაცია,
- კაპიტალი,
- საქონელი,
- მოსმახურეობა,
- ეკონომიკური საზღვრების გამჭვირვალობა,

ლიბერალიზაცია და ეკონომიკის გლობალიზაცია ერთამანეთზე დამოკიდებულად მიმდინარეობს: გლობალიზაციის ხელშემწყობია ლიბერალიზაცია, გლობალიზაცია კი უზრუნველყოფს ეკონომიკური ლიბერალიზაციის ეროვნულ დონეზე გაძლიერებას.

1990 წელს სოციალისტური სისტემა სრულიად დაიშალა და დაიწყო პოსტკომუნისტური ეკონომიკის ტრანსფორმაცია, ეს დრო შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკისა და ლიბერალიზაციის გაძლიერების ეტაპად. სწორედ ამან გამოიწვია:

---

[2] Thurow L. The Future of Capitalism: How Today's Economic Forces Shape Tomorrow's World 1996 p 3

[3] Heilbroner R. The Worldly Philosophers: The Lives, Times And Ideas Of The Great Economic Thinkers, Seventh Edition Aug 10, 1999

- პიროვნული და სამეწარმეო თავისუფლება,
- სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვა ეკონომიკაში,
- სწრაფი პრივატიზება,
- საწარმოთა შეზღუდვის პრაქტიკის აღმოფხვრა,
- შემზღუდავი პოლიტიკის გატარება.

მთელ მსოფლიოში გავრცელდა ექსპორტზე ორიენტირებულობა, ასევე კონკურენციამ მიიღო საერთაშორისო სახე :

- ეროვნულ სახელმწიფოებს შორის,
- ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის.

ძიების პროცესში გამოიკვეთა ორი ერთმანეთისგან სრულიად საპირისპირო მიმდინარეობა : ეკონომიკის დარეგულირება გლობალურ დონეზე და სახელმწიფო და ეროვნულ დონეზე ეკონომიკის ლიბერალიზაცია. [4]

ადრეულ ეპოქაში გლობალიზაცია მიმდინარეობდა სტიქიურად, ხოლო თანამედროვე პირობებში კი გლობალიზაციამ მოწესრიგებული და მიმართული სახე მიიღო. ამავდროულად ჩამოყალიბდა ინსტიტუციური მექანიზმი გლობალიზაციის სამართავად, რომლის სწორად მოქმედება და გამოყენება საფუძვლად უდევს წარმატებულ და სტაბიულურ ეკონომიკურ წინსვლას.

ეკონომისტი და მეცნიერი ე. მექვაბიშვილი თავის წიგნში გლობალიზაციისა და რეგიონალიზმის მჭიდრო კავშირის გამო, ურთიერთსაპირისპირო ცნებებს არ განიხილავს. მისი აზრით ლოკალიზაცია, და არა რეგიონალიზაცია, არის გლობალიზაციის ანტითეზა. ასევე არასწორია მათი ერთმანეთთან გაიგივება.

სახელმწიფო, გლობალიზაციაზე ნაკლებ ზეგავლენას ახდენს, რადგან გლობალიზაცია ეს არის ზეეროვნული ფენომენი. რაც შეეხება რეგიონალიზაციას , იგი მოიცავს მომიჯნავე სახელმწიფოების რეგულარულ კავშირს, რომელიც ეხმარება ქვეყანას ჩაერთოს გლობალიზაციის პროცესში. გამოდის რომ სწორედ გლობალიზაციის ორგანული შენაერთია რეგიონალიზაცია, ამიტომ მათ შორის შეუთავსებლობა არ არსებობს.

---

[4] მექვაბიშვილი ე. „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა თბ. 2018 გვ 20

ყოველივე აღნიშნულის მიხედვით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ გლობალიზაციის განმარტება: დაუბრკოლებელი მიმოსვლა საქონლის, ბიუჯეტისა და სამუშაო ძალისა, ასევე აგრარული ცხოვრების მრავალფუნქციონალურობა, რომელიც მოცემულ პუნქტებს აქცევს ჩარჩოში და დგამს გლობალური ეკონომიკის დაკომპლექტების პირველ ნაბიჯებს. როგორც ვხედავთ გლობალიზაცია პირდაპირ მოქმედებს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. [5]

უნდა აღინიშნოს, რომ ცნება გლობალურ ეკონომიკაზე გლობალიზაციის პროცესის დაწყებამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე ჩამოყალიბდა, კერძოდ 1950-იან წლებში. მ. კასტელსი გვთავაზობს შემდეგ აზრს „ გლობალურია ეკონომიკა, რომელსაც, როგორც ერთიან სისტემას მუშაობა შეუძლია რეალურ დროში და მთელი პლანეტის მასშტაბით“. М. Кастельс 2000.105.

ამ განმარტებაში ნათლად ჩანს, რომ ერთიან მთლიან სისტემას და არა მის შემადგენელ ნაწილს, წარმოადგენს გლობალური ეკონომიკა, საუბარია ეროვნულ ეკონომიკაზე. ამის დასასაბუთებლად მ. კასტელსი გვთავაზობს ერთიანი სისტემის ორ თვისებას : ფუნქციონირება რეალურ დროში და მსოფლიო მასშტაბით ფუნქციონირება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით გამოდის, რომ გლობალური ეკონომიკა ეს არის ერთიანი სისტემა, რომელიც თანამედროვე დროში ფუნქციონირებს.

ამ ერთიან, თანამედროვე დროში სისტემის მოქმედებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ერთის მხრივ ზემოთ ნახსენები სისტემა არის უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების ევოლუციის შედეგი, ხოლო მეორე მხრივ, თანამედროვე აგრარულ მეურნეობაში დანაწევრების შესაძლებლობას გამორიცხავს. სწორედ ამ კონტექსტში განიხილება საწარმოები, რომელთა ამოცანას წარმოადგენს გლობალურ ბაზარზე საკუთარი უფლების მოპოვება და რაც მთავარია მისი შენარჩუნება. მოცემულ ბაზარზე მსგავსი საწარმოების გასვლა ხდება არა ნაწილ-ნაწილ, არამედ წარმოშობისთანავე.

ამრიგად ეკონომიკის გლობალიზაცია ეს არის პროცესი, გლობალური ეკონომიკა კი მისი შედეგი. გლობალურ ეკონომიკის არსებობაში სრულიად განსხვავებულია აშშ-ს ეკონომიკა, რადგან ის დღეს-დღეისობით ქვეყანა ფენომენია, სოციალურ - ეკონომიკური

[5] მექვაბიშვილი ე. „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა თბ. 2018 გვ 19

სისტემის განხრით და წარმოადგენს გლობალური ეკონომიკის ძირითად კომპონენტს და მარეგულირებელ ორგანოს. XX საუკუნის დასაწყისში პრეზიდენტი ვ. ვილსონი საუბრობდა, რომ „ჩვენ ამერიკელები იმისთვის შევქმენით, რომ თანამედროვე დროში ადამიანები თავისუფალნი იყვნენ. ჩვენ სხვა ქვეყნის ყველა ადამიანს განვათავისუფლებთ. თუ ამ ყოველივეს არ გავაკეთებთ აორთქლდება ამერიკის დიდებაც“. [6]

ამერიკის როლი გლობალურ ეკონომიკაში განსაკუთრებით იმით არის განპირობებული, რომ მან პირველმა შეძლო საზოგადოების ინფორმირება. მოწინავე რიგშია თავისი მაღალტექნოლოგიური ქროდუქციით, სწორედ ამის გამო აშშ კოლოსალურ მოგებას იღებს. [7]

ასევე ძალზედ საინტერესოა ეკონომიკის გლობალიზაციის ისტორია, რომელსაც გააჩნია თავისი პრეისტორია.

გლობალიზაცია, როგორც ზემოთ აღნიშნულ თემაში ვთქვი არის XX საუკუნის 80 -90- იანი წლების მნიშვნელოვანი მოვლენა, თუმცა მას გააჩნია კაცობრიობის ისტორიის სიღრმეში თავისი არქეტიპი. მაგ. როგორიცაა XIII საუკუნეში ჩინგუზ- ხანის მმართველობა.

ყველაზე მთავარია გლობალიზაციის წინამძღვრების განხილვისას გვერდი არ ავუაროთ ქრონოლოგიურ ჩარჩოებსა და მისი განვითარების ეტაპებს. ზოგიერთ მკვლევარს მაგ. ვ. ფიოდოროვს მიაჩნია, რომ გლობალიზაცია XVIII საუკუნიდან იღებს სათავეს.

მნიშვნელოვანია მკვლევარი და ეკონომისტი ს. მიცეკის აზრი, რომლის მიხედვითაც გლობალიზაციის დასაწყისია XIX – XX საუკუნეების მიჯნა.

ქართველი მეცნიერი ზ. დავითაშვილი შემდეგ მოსაზრებას აღიარებს, რომ „გლობალიზაცია ეს არის თანამედროვე ფენომენალური მოვლენა, ის ასახავს დღევანდელ სიტუაციას და ისტორიულ ეპოქებთან მას არანაირი საერთო არ აქვს“. [8]

---

[6] Неклесса А. „ГЛОБАЛЬНЫЙ НЭП: ГЕОЭКОНОМИКА И СЕТЕВАЯ КУЛЬТУРА“ 2004. №1. 120

[7] მექვაბიშვილი ე. „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა თბ. 2018 გვ 20

[8] დავითაშვილი ზ. „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“ ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ 2003 წ. გვ 120

XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარეობდა ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია. ინტერნაციონალიზაციას შემდეგი სამი ჯგუფი განაპირობებდა :

წარმოების დასაწყისში მომხდარი ცვლილებები.

სიახლეები ფინანსურ ბაზარზე,

აგრარული ცხოვრების მოწესრიგებაში მიმდინარე ცვლილებები.

ამ დროისთვის კომპანიები კაპიტალს იღებდნენ სამამულო ბიზნესიდან, ხოლო ადგილობრივი ბანკებიდან საბრუნავ კაპიტალს.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ XIX საუკუნის ბოლოდან ბიზნესის დაფინანსებისთვის დაიწყო ახალი მეთოდების გამოყენება. ამ დროისთვის საფონდო ბირჟები ფინანსური ბაზრის მოწინავე სუბიექტებად იქცნენ.

ამრიგად, XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისს ინტერნაციონალიზაცია ძირითადად აღმავალი გზით მიმდინარეობდა, რომელიც საფუძველს უმზადებდა გლობალიზაციას. შესაბამისად, სრულიად მისაღები იქნება იმის თქმა , რომ ინტერნაციონალიზაციის განვითარების შედეგი არის გლობალიზაცია.

მაგრამ არიან ისეთი მკვლევარები, რომლებიც გლობალიზაციასა და ინტერნაციონალიზაციას ერთმანეთს უპირისპირებენ, მაგალითად: პ. სკოტი. იგი აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალიზაცია აღნიშნავს უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის არსებობას, ამ ყოველივეს კი გლობალიზაცია ეწინააღმდეგება.

გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის დაპირისპირებაზე ყველაზე ხმამაღლა მსჯელობს ვ. რამზესი, რომლის მიხედვითაც „გლობალიზაცია არის ინტერნაციონალიზაციის კონკურენტი. მისი აზრით ინტერნაციონალიზაცია სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაა, ხოლო გლობალიზაციის ხელში მარეგულირებელი ნაწილია“.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ახალმა ტექნოლოგიებმა, რომლებიც ხელს უწყობს საინფორმაციო- საკომუნიკაციო სფეროს განვითარებას, გლობალიზაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ჩვენთვის ნაცნობი უახლესი ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა უსწრაფესად გაფორმდეს სხვადასხვა ტიპის გარიგებები, ასევე განხორციელდეს ფულის ტრანსაქცია დედამიწის ნებისმიერ წერტილში, ასევე

ტრანსნაციონალურ ბანკებს შეუძლიათ ინტერნეტის საშუალებით მოწინავე ადგილი დაიკავონ კაპიტალის რეგულირებაში.

ინფორმაციული განვითარება ცვლის საზოგადოების და მისი ეკონომიკური საფუძვლის პრინციპებს. წარმოიშვა გლობალური ქსელური გაერთიანება, რომლის შემადგენლობაც საკმაოდ სწრაფად იცვლება. [9]

დედამიწის სხვადასხვა წერტილში მყოფი ადამიანები უკავშირდებიან ერთმანეთს და ვირტუალურად იწყებენ პროდუქციის შექმნას. წარმოების ეს ვირტუალური პრინციპი ემყარება შემდეგ პუნქტებს :

- არ არის აუცილებელი დეტალებს ამზადებდეს საწარმო, როცა ამის გაკეთება უფრო მოკლე ვადაშია შესაძლებელი, იაფად და ხარისხიანად,
- პარტნიორული კავშირები მდგრადია მაშინ, როცა ერთობლივად შექმნილი პროდუქტი ბაზარზე კონკურენტუნარიანია და საკმაოდ კარგად იყიდება, სხვა შემთხვევაში კი კავშირები სწრაფად იცვლება ახლით,
- ინტერნეტის საშუალებით მთელს მსოფლიოში ხდება პარტნიორების შერჩევა. პრაქტიკა ადასტურებს, რომ აღმოჩენები და გამოგონებები ცალკეული ადამიანების მიერ ხდება,
- მცირე კაპიტალი ძირითადად იხარჯება წარმოებისთვის აუცილებელი შენობა-ნაგებობის მოძიებაში,
- ხარჯების ეკონომია, რაც ძირითადად შეეხება მმართველურ ხარჯებს.

გარდა ამ ყოველივესა, არსებობს ეკონომიკის გლობალიზაციის სირთულეები, რომლის მიხედვითაც, მსოფლიო ვაჭრობის ტემპი შემცირდა, რაც შესაძლოა ფინანსური კრიზისით აიხსნას. [10]

1.2 საინფორმაციო საშუალებების და ტექნოლოგიების განვითარების როლი გლობალიზაციის პროცესში

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ტექნოლოგიების განვითარებამ და მათმა გამოყენებამ დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, ყველა

[9] Неклесса А. „ГЛОБАЛЬНЫЙ НЭП: ГЕОЭКОНОМИКА И СЕТЕВАЯ КУЛЬТУРА“ 2004. №1. 120

[10] მექვაბიშვილი ე. „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა თბ. 2018 გვ 21

სფეროში. მათ შორის მას ყველაზე დიდი ადგილი უკავია კავშირის, ინფორმაციის გვარცელების და ეკონომიკის სფეროში. ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდებიან და უმჯობესდებიან, ეს ერთგვარად გამოწვეულია ბაზარზე არსებული კონკურენციით.

იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიების განვითარებას და მეცნიერების მიერ შექმნილ ახალ აღმოჩენებს, რომ ხშირად უწოდებენ ამა თუ იმ ცვლილებას ტექნოლოგიურ რევოლუციას. ქართველი მეცნიერი ე. მექავაბიშვილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამერიკელი სოციოლოგი ე. ტეილკოტის და რუსი ეკონომისტის ვ. კონტრატიევის მოსაზრებას „დიდი ტალღების“ თეორიას, რომლის მიხედვით ტექნოლოგიური განვითარების ხუთი ეტაპი არსებობს, რომლსაც მიიჩნევენ ტექნოლოგიური განითარების ფაზებად.

ერთი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლას საფუძვლად უდევს ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები ტექნოლოგიების განვითარების სფეროში როგორიცაა წყლის ბორბალი, ელექტროობა, წარმოებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური საშუალებები, ტელეკომუნიკაციის და ინფორმაციის გადაცემისათვის საჭირო ტექნოლოგიები.

მეოცე საუკუნეში ამოქმედებულ ტექნოლოგიურ რევოლუციას მოყვა უმნიშვნელოვანესი , ინფორმაციული რევოლუცია. ეს კი ნიშნავს ადამიანთა ცხოვრების ყოველ სფეროში ინფორამციულ ტექნოლოგიების ფართოდ შემოჭრას და ფესვების გადგმას. ინფორმაცია წარმოადგენს ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის თითქმის საბოლოო პროდუქტს, ასევე ინფორმაცია არის უმნიშველოვანესი ეკონომიკური რესურსი.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დიდ მატერიალური მდგომარეობის არსიც ინფორმაციულია. ამის განმარტება შეიძლება შემდეგნარიად: ადამიანი რომელიც ნივთს ფლობს, ფლობის მნიშვნელობის არსი მდგომარეობს მასში არსებული ინფორმაციის გამო.

ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუცია პირდაპირ კავშირშია ინფორმაციის „მოძრაობასთან“, ანუ იგი შესაძლებლობას გვაძლევს ჩვეულებრივ, ტრადიციულ ეკონომიკას გამოეყოს ინფორმაციული ეკონომიკა. უამრავი ინფორმაციის მოძრაობა, ძალიან სწრაფად, არის ინფორმაციული ეკონომიკა, რომელიც ახდენს ამ

ინფორმაციის დემატერალიზაციას. სწორედ ეს არის თანამედროვე ეკონომიკისთვის დამახასიათებელი და თვალსაჩინო ნიშანი. [11]

საინფორმაციო რევოლუციაში უდიდესი მნიშვნელობა ქონდა წინა საუკუნის ყველაზე დიდ მიღწევას, როგორიცაა „მსოფლიო ქსელი“, რომელსაც ინტერნეტის სახელწოდებით ვიცნობთ (World International Networks). 1989 წელს ატომური კვლევის ცენტრში, ქ. ჟენევაში თიმ ბერნერს ლი-მ შექმნა ინტერნეტი. სწორედ ამ რევოლუციურმა გამოგონებამ მისცა საშუალება დედამიწის ყველა წერტილში ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელებას, ამის საფუძველზე სრულიად აღმოფხვრა დროისა და მანძილის დაბრკოლებები. „მსოფლიო ქსელმა“ დასაბამი მისცა ინფორმაციულ გლობალიზაციას და პლანეტარულ საინფორმაციო სივრცეს.

1946 წელს შეიქმნა პირველი კომპიუტერი, რომელსაც რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს 20 სიტყვიანი მეხსიერება ქონდა, ხოლო ნამდვილი რევოლუციის დაწყების თარიღი 60-იანი წლების ბოლოა. კომპიუტერის უმთავრესი ნაწილი, პროცესორი 1971 წელს გამოიგონეს. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ სამრეწველო რევოლუციის შედეგები ინტერნეტის გამოგონებას უტოლდება.

XXI საუკუნის დასაწყისში ინტერნეტი არათანაბრად იყო განაწილებული, მიუხედავად ამისა მომხმარებელთა რიცხვი 361 000 000 აღწევდა. კერძოდ ინტერნეტის მომხმარებელთან უმეტესი ნაწილი ანუ 56% ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა. დაკვირვებებმა გამოყო ჩვეულებრივი მომხმრარებლების დამახასითებელი ტიპი: 37 წლის მამაკაცი, ცხოვრობს ქალაქში, აქვს უმაღლესი განათლება, დამაკმაყოფილებელი შემოსავალი და ფლობს ინგლისურ ენას.

ნახევარმა მილიარდმა ადამიანმა იცის ინგლისური, როგორც უცხოენა და ეს რიცხვი ყოველდღე იზრდება. ევროპაში გამოკითხული მოსახლეობის დაახლოებით 70% ფიქრობს, რომ ინგლისური უნდა იცოდეს ყველამ. ჩინურს, როგორც მშობლიურ ენას მიიჩნევს დაახლოებით 1 200 000 ადამიანი. ეს ნიშნავს რომ იტერნეტის ასეთმა განვითარებამ ხელი შეუწყო ენების გლობალიზაციას. [12]

---

[11] ექვაბიშვილი ე. ეკონომიკის „გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები“. თბ. 2009 გვ 30

[12] ექვაბიშვილი ე. ეკონომიკის „გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები“. თბ. 2009 გვ 31

ინტერნეტი, ენის ბარიერის, დროისა და მანძილის პრობლების აღმოფხვრასთან ერთად, წარმოადგენს როგორც ტექნოლოგიურ ასევე ინფორმაციულ საფუძველს გლობალიზაციის პროცესში. მისი საშუალებით შეიძლება ისეთი რამეების გაკეთება, შექმნა და ისეთი ოპერაციების ჩატარება რომელიც აქამდე დიდი მანძილის და დიდი დროის გამო შეუძლებელი იყო, მაგ: მისი დახმარებით შეიძლება კომერციული და თუნდაც ფინანსური გარიგებების წარმართვა პლანეტის ნებისმიერ ადგილში. კონკრეტულად რომ გითხრათ, 1990 – 2005 წლებში ოპერაციების მასშტაბური ზრდა დაიწყო მსოფლიო სავალუტო ბაზარზე. იგი 60%-ით გაიზარდა. 5-ჯერ გაიზარდა ასევე კორპორაციული და სახელმწიფო ობლიაგიცებით ვაჭრობა.

ბოლო დროის მაჩვენებლით, ინდუსტრიულად შედარებით მაღალ საფეხურზე მყოფმა ქვეყნებმა დაიწყეს საშუალო და მცირე ბიზნესისათვის თანაბარი უფლებების მინიჭება, რის საფუძველსაც წარმაოდგენს ტექნოლოგიების გამოყენება. საწარმოებს, რომელთაც ეს წესი და კანონი შეეხო, ხშირად ეძახიან „გლობალურად შობილს“. მათი მთავარი მიზანია მოიპოვონ საკუთარი ნიშანი და დაიმკვირონ ადგილი მსოფლიო ბაზარზე.

მეცნიერების ყურადღება ძირითადად გადატანილია „გლობალურად შობილ“ საწარამოებზე მათი პრობლემების თანთადათ ზრდის გამო. ბაზარზე მათი დამკვიდრება ხდება შექმნისთანავე და არა ეტაპობრივად. ამის გამო მათ მოიხსენიებენ შემდეგი სახელებით

1. „საერთაშორისო ახალი ვენჩერული საწარამოები“,
2. „გლობალური სასტარტო საწარმოები“,
3. „სწრაფი ექსპორტიორები“ და ა.შ.

მათ ძირითად წამყვან ფაქტორს წარმოადგენს გლობალიზაცია. მათთვის პრიორიტეტულია განვითარების მხრივ ავანგარდული ტექნოლოგიები.[13]

პრაქტიკები ადასტურებს, რომ მსგავსი საწარმოები ადამიანის სამეწარმეო რესურსებით აღწევენ წარმატებას და არა ორგანიზაციული ან ფინანსური გზით. ამის

13 მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის „გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები“. თბ. 2009 გვ 32

მიზეზი არის ის, რომ ზემოთ ხსენებული კომპანიების ან ფირმების მოსმახურე პერსონალი უმაღლესი განათლებით, უამრავი კრეატიულობით და მათი შესრულების ხარისხით გამოირჩევა. მათ შეუძლიათ გააკეთონ ის რაც სხვა კომპანიებისთვის მიუღწეველ მწვერვალს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყოველი ახალი ეტაპი თავისი ახალი აღმოჩენით ცვლიდა ბაზარზე არსებულ წესებსა და შრომის მეთოდებს, ქმნიდა ეკონომიკური საქმიანობის ახალ წესებს. წესები ეხებოდა როგორც ბაზარზე მოქმედების შეცვლას ისე წარმოების და შრომის პროცეს.

ტექნოლოგიების განვითარებამ დასაქმებული ადამიანების შრომის პროცესი შეცვალა და გაამარტივა. ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო წარმოების პროცესში ტექნიკის საშუალებით სამუშაოს შესრულებას მარტივად, სადაც ადამიანი მოიაზრება დისტანციურ მმართველად ტექნოლოგიების.

მთელს მსოფლიოში სწრაფად ხდება ადამიანის შრომის ინტელექტუალიზაცია. ტექნოლოგიური რევოლუციების ეტაპებს, მეტი თვალსაჩინოებისათვის გთვაზობთ ცხრილის საახით.

ტექნოლოგიური რევოლუციების ფაზები იხილეთ ცხრილი N 1.2.1

ტექნოლოგიური რევოლუციის ფაზები					
ფაზები	I-1780-1830 წ	II-1840-1870 წ	III-1880-1910 წ	IV-1920-1970 წ	V-1980 წ
სიახლე	წყლის ბორბალი, საქსოვი და მეტალურგის წარმოება	ორთქლის ძრავა, რკინიგზა, მეტალურგია, ლითონსადნობი მრეწველობა.	ელექტრო-ენერგია, ქიმიური და ლითონსადნობი მეტალურგია.	ელექტრონიკა ნავთობი, ქიმია, სინთეთიკური მასალები, სავტომობილო, საავიაციო მშენებლობა.	საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, საინფორმაციო ტექნოლოგიები.

[მექვაბიშვილი ე. 2009, 18]

ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით მსოფლიოში ქვეყნები სხვადასხვა დროს გამოირჩეოდნენ მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარების

თვალსაზრისით. ამ ტექნოლოგიურ განვითარებასა და გამოგონებას ისინი იყენებდნენ წარმოების განსავითარებლად, წარმოების განვითარება კი გულისხმობს ეკონომიკის განვითარებას და საქონლის ექსპორტს მსოფლიოს ბაზრებზე. პოლიტიკურ ურთიერთობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებას და რესურს ინოვაციების თვალსაზრისით.

მოცემული მომენტისათვის, ქვეყნები რომელბიც ტექნოლოგიურად განვითარებულნი არიან, წარმოადგენენ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს მსოფლიოში და გამოირჩევიან ეკონომიკის მდგრადობით. აღნიშნული ცხრილი იხილეთ ცხრილი N1.2.2

ცხრ. N 1. 2. 2 ტექნოლოგიური რევოლუციური ფაზები ქვეყნების მიხედვით.

[მექვაბიშვილი ე, 2009, 18]

ტექნოლოგიური რევოლუციური ფაზები ქვეყნების მიხედვით					
წლები	**I-1780-1830წ**	**II-1840-1870 წ**	**III-1880-1910 წ**	**IV-1920-1970 წ**	**V-1980 წ**
ქვეყნები	**ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია.**	**ინგლისი, აშშ, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია.**	**ინგლისი, აშშ, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია, შვეიცარია.**	**აშშ, ბელგია, გერმანია, ჰოლანდია, საფრანგეთი, შვეიცარია, იაპონია.**	**აშშ, გერმანია, იაპონია, ინგლისი, ბელგია, ჰოლანდია, შვედეთი**

ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით საინტერესოა მოეცემული მომენტისათვის ქვეყნების ლიდერობა და არსებული სურათი. როგორც გავლენიანი სოციალური მედიის ინტერნეტ გვერდი themanews.com იტყობინება 2018 წლისათვის მსოფლიოში ტექნოლოგიების გავითარების თვალსაზრისით ლიდერობს შემდეგი 12 ქვეყანა:

პირველ ადგილს იკავებს იაპონია. ის ცნობილია თავისი სამეცნიერო კვლევებით.

იაპონიის სამეცნიერო კვლევებმა დიდი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა ავტომობილები, ელექტრონიკა, მანქანა, საინჟინრო, ოპტიკა, სამრეწველო რობოტები, ლითონები. ის დამოუკიდებელია ენერგო საშუალებებით და არ ახორციელებს ინპორტს ქვეყანაში. ამ მხრივ 1973 წლიდან მისმა ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო 2008 წელს, როდესაც ინაუგურაციის დროს მოხდა ბირთვული 7 რეაქტორის პრეზენტაცია. ბირთვული რეაქტორები ქვეყნის ელექტროენერგიის 34 პროცენტს შეადგენს. იაპონიის მკვლევარებმა ბევრი ნობელის პრემია მოიპოვეს.

მეორე ადგილს იკავებს ამერიკის შეერთებული შტატები. კოსმოსურ ტექნოლოგიებში მიღწეულმა წარმატებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამერიკის შეერთებული შტატების გლობალური ზესახელმწიფოებისთვის.[14]

ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით, ატომური ბომბიდან ნილ არმსტრონგის მთვარეზე მოგზაურობით ფართო, ფარმაცევტული, თავდაცვის სისტემა და სატელეკომუნიკაციო სისტემები იყო შეერთებული შტატების ძირითადი აქცენტი მრავალი ათწლეულის განმავლობაში. ამ ერს აქვს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და ტექნოლოგიურად მოწინავე სამხედრო ძალა. ამ ერმა წარმოადგინა მსოფლიოს უმსხვილესი ტექნოლოგიური კომპანიები, როგორიცაა Google, Facebook, Apple, Intel, IBM და Microsoft.

მესამე ადგილს იკავებს სამხრეთ კორეა. ის წარმოადგენს ტექნოლოგიურ ისეთ კომპანიების, როგორიცაა LG, Hyundai და Samsung. ეს ბრენდები კონკურენციას უწევს გლობალური ტექნოლოგიების ბრენდებს, როგორიცაა Apple და Toyota. სამხრეთ კორეელმა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სფეროებში, როგორიცაა რობოტები. საშუალო ინტერნეტის სიჩქარე სამხრეთ კორეა სამჯერ, აღემატება ამერიკის ინტერნეტის საშუალო სიჩქარეს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მეოთხე ადგილს იკავებს ისრაელი. ისრაელის ექსპორტის დაახლოებით 35% ტექნოლოგიასთან არის დაკავშირებული. ისრაელი საავიაციო ტექნიკით პირველ ხუთეულშია. იგი ასევე ცნობილია თავისი ინოვაციების თავდაცვის სფეროში. ისრაელმა შექმნა პირველი უპილოტო საფრენი აპარატი (UAV) რეალურ დროში დაკვირვებით.

[14] Tema.news.com 12 most technologically advanced nations in the world 2014

მეხუთე ადგილს იკავებს გერმანია. გერმანია ათწლეულების განმავლობაში მაღალტექნოლოგიური ერი იყო. საყოველთაოდ ცნობილია საინჟინრო სფეროში მიღწეული წარმატებები. გერმანიის სამეცნიერო მეცნიერებმა წვლილი შეიტანეს სფეროებში, როგორიცაა სივრცეში მოგზაურობა და ნანოტექნოლოგია. R & D ძალისხმევა გერმანიის ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. ქვეყანაში სამეცნიერო კვლევა მხარს უჭერს ინდუსტრიას.

მეექვსე ადგილს იკავებს რუსეთი. რუსები პირველები იყვნენ პირველად საავიაციო ტექნიკის წარმოებაში და პირველად დააყენეს ადამიანის მიერ შექმნილი ობიექტი მთვარის ზედაპირზე. რუსეთი ცნობილია მძიმე ტექნიკის წარმოებისთვის, ხოლო ჰაერსაწინააღმდეგო ფართო სპექტრის ზედაპირზე, საჰაერო სივრცეში ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტებით ითვლება საუკეთესო მსოფლიოში.

ფინეთი იკავებს მეშვიდე ადგილს. იგი ცნობილია თავისი მაღალტექნოლოგიური ჯანდაცვის ობიექტებით, ბევრი ფიქრობს, რომ ბრენდი "ნოკია" ფინეთში ტეგნოლოგიურ განვითარებაზე მიუთითებს. ამჟამად ფინეთი ფოკუსირებულია ბიომეცნიერებებზე, ენერგეტიკასა და გარემოსდაცვით მეცნიერებაზე.

გაერთიანებული სამეფოები არის მერვე ადგილზე. უნდა ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთი იყო პირველი ერი, რომელმაც მოახდინა ინდუსტრიალიზაცია მსოფლიოში. ის ცნობილია ლოკომოტივის ძრავისა და თვითმფრინავის ძრავებით. [15]

მეცხრე ადგილს იკავებს კანადა. კანადას მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების ინდუსტრია აქვს, მისი მთავრობა მუდმივად ხელს უწყობს IT და ტექნოლოგიურ ინდუსტრიულ კვლევებს სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით. იგი გამოყოფს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 2% RD- ს, ის არის ქვეყანა, რომელმაც ჩიპური ნაკლებად საკრედიტო და სადებეტო ბარათები გააცნო მსოფლიოს.

მეათე ადგილს იკავებს სინგაპური. სინგაპური საქმიანი მეგობრული გარემოა და იგი ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე. ინოვაცია ერთ-ერთი ქვეყნის მმართველი ძალაა მის უკან ყოველთვის ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანა დგას. ერი ცნობილია, როგორც მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ინტერნეტის მქონე ქვეყანა.

[15] Tema.news.com 12 most technologically advanced nations in the world 2014

მეთერთმეტე ადგილს იკავებს ნიდერლანდები. ნიდერლანდებში მაღალტექნოლოგიური კომპანიები წარმოადგენენ სატელეკომუნიკაციო სისტემებს, კომპიუტერებს, ელექტრონულ გაზომვას და საკონტროლო მოწყობილობებს, სამედიცინო და სამეცნიერო ინსტრუმენტებს, ელექტრულ გადართვას და ტრანსფორმატორებს.

მეთორმეტე ადგილს იკავებს ჩინეთი. ცნობილი ფაქტია, რომ იარაღს, ფხვნილს და კომპასს პირველად ჩინეთში იყენებდნენ. დღეს ის აქცენტებს აკეთებს ისეთი ტექნოლოგიების განვითარებაზე როგორიცაა, რობოტები, ნახევარგამტარები, მაღალი სიჩქარით მატარებლები, სუპერკომპიუტერები და გენეტიკა. [16]

განხილულმა საკითხებმა ცხადყო, რომ ტექნოლოგიები არის ის ამოსავალი წერტილი რომლის საშუალებით ხდება საჭირო ტექნიკის შექმნა, რომელიც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ეკონომიკის სფეროში მზარდ მაჩვენებელს, პოლიტიკურ ასპარეზზე სტრატეგიული ადგილის დაკავებაში ეხმარება ქვეყნებს. ტექნოლოგიური პროგრესი ხორციელდება ინოვაციების მეშვეობით, ასეთი დიდი ინოვაციები მსოფლიოში სულ იყო და სულ იქნება, მანამ სანამ კაცობრიეობა იარსებებს. გლობალიზაციისა და ეკონომიკის განვითარების, ტექნოლოგიური საშუალებებისა და ინფორმაცის სწრაფი გავრცელებისა და გადაცემის საშუალებები ხელს უწყობს გლობალიზაციის პროცესის სისწრაფეს და მასშტაბურობას.

1.3 გლობალიზაციის მთავარი გამოწვევები და წინააღმდეგობები

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ეს არის ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთერთი ახალი და განსაკუთრებით აქტუალური ტენდენცია. დღემდე მრავალმა მეცნიერმა შეისწავლა გლობალიზასიის განვითარებით გამოწვეული ცვლილებები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, გამოწვევები და აზრთა სხვადასხვაობები. დღესაც ბევრი ქვეყანა დგას გამოწვევების წინაში, ეს გამოწვევები კი თვისობრივად არ განსხვავდება სხვა განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული

[16] Tema.news.com 12 most technologically advanced nations in the world 2014

ქვეყნების გამოწვევებისაგან. მათ საშუალება ეძლევათ გაითვალისწინონ სხვა ქვეყნის გამოცდილებები, გამოიტანონ დასკვნები და მათი განვითარების სტრატეგია მიანდონ სხვა ქვეყნების წარმატებასა და გამოცდილებას.

ყოველივე ამის შემდეგ უნდა ითქვას, რომ გლობალიზაციის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის ზრდა, სოციალური განვითარება და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მასთან არის დაკავშირებული საზოგადოების ცხოვრების ისეთი საკითხები, როგორებიცაა გაფართოებული წარმოება და ამ წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ფენის სრულყოფა, ადამინთა არსებობისა და შრომის პირობების გაუმჯობესება, მატერიალური მხარდაჭერა, სუფთა ეკოლოგიური გარემოს ფორმირება. ასევე მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს როგორც ბიზნესის ასევე სამოქალაქო და სახელმწიფო სექტორის მართვა.

გლობალიზაციის გამოწვევაა, აგრეთვე, ქვეყნებს შორის საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოება. სახელმწიფოებმა უნდა განამტკიცონ და განავითარონ ურთიერთობები, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთდაინტერესებას, სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სწორედ ამგვარ ურთიერთობებს გააჩნიათ სამომავლო პოტენციალი. [17]

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ასევე სასოფლო მეურნეობის ბიზნესის განვითარება. ამ სფეროში დასაქმებულია ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდას მნიშვნელოვნად უშლის ხელს პროდუქტიულობისა და მომგებიანობის დაბალი დონე, რაც არამხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც გვხვდება.

სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე სოფლად სიღარიბის მასშტაბებსა და სიმწვავეში აისახება. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტულობა სოციალური პრობლემების აღმოფხვრასთან ერთად ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას, რაც ასევე აისახება მომიჯნავე დარგების კონკურენტუნარიანობაზე.

ასევე გლობალიზაციის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ინფრაქტრუქტურის განვითარება, რაც თავის მხრივ პერსპექტიული დარგების: სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტურიზმის აღორძინებისთვის უმთავრესი პირობაა. ჩვენი ქვეყანა

[17] დობორჯგინიძე. გ. „ლოგისტიკის როლი ქართული ეკონომიკის განვითარებაში“. 2014 გვ.3

გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, წარმოადგენს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ლოგისტიკურ ჰაბს. იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში არის განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და დაბალი კონკურენტუნარიანი სატრანსპორტო სისტემა, მას არ აქვს პოტენციალის გამოყენების საშუალება.

ჩვენი ქვეყნის არსებულ სატრანსპორტო ქსელს აქვს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომ მას არ გააჩნია ქსელური ეფექტი. ვერ უკავშირდებიან ტრანსპორტის სხვადადასხვა სახეობები ერთმანეთს ინფრასტრუქტურის დეფიციტის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გზა ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ამისათვის საჭიროა ლოგისტიკური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რის შედეგადაც ქვეყანაში კონკურენტუნარიანი გახდება სატრანსპორტო კორიდორი.[18]

გლობალიზაციის პროცესის კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სპეციალიზაციის გაღრმავება და ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიციკაცია. ასეთი ეკონომიკა იძლევა საქონლისა და მომსახურების სერვისის გამრავალფეროვნების, დარგობრივი კრიზისის დაძლევის საშუალებას. დივერსიფიკაციის შეფერხება ხდება იმის გამო, რომ ქვეყნის რეგიონებში არ ხდება დარგების განვითარება. იმპორტისა და დივერსიფიკაციის პრობლემების და მათი პროგრამების გამოყენების გარშემო უნდა გაერთიანდეს ქვეყნის ეკონომიკური იდეები. გლობალიზაციის გამოწვევას წარმოადგენს გლობალური კონკურენციის ფორმირება, აგრეთვე, დარგის, საქონლისა თუ წარმოების კონკურენტუნარიანობის ფორმირებაც. აღნიშნულ გამოწვევაზე საპასუხოდ მსოფლიო ბაზრის შესწავლა და მოთხოვნის განსაზღვრა აუცილებელია (მათ შორის პერსპექტიულის).

მეტი თვალსაჩინოებისათვის გლობალური ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები იხილეთ ცხრილის სახით: ცხრილი N 1.3.1

[18] დობორჯგინიძე. გ. „ლოგისტიკის როლი ქართული ეკონომიკის განვითარებაში“. 2014 გვ. 6

ცხრილი N 1.3.1 ეკონომიკის გლობალიზაციის ძირითადი გამოწვევები

	გარემოს დაცვითი ღონისძიებების გამრავალფეროვნება და მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების გაზრდა.
ეკონომიკის გლობალიზაციის ძირითადი გამოწვევები	ეკონომიკაში ყველა მომუშავეს უწევს გლობალური კონკურენციის პირობებში რესურსებისთვის, ინოვაციებისთვის მენეჯერების მოზიდვა.
	მოითხოვს შრომის მსხვილმასშტაბიანად გამოიყენებას. ეკონომიკის უსაფრთხოება კი მაღალ დონეს უნდა შეესაბამებოდეს.
	მოითხოვს რესურსების გაუმჯობესებას. თანამშრომლების სტიმულაციასა და მოტივირებას.
	მნიშვნელოვანია განათლებისა და წარმოების საფუძველზე აქტიურად გამოყენებადი გახდეს კაპიტალი.
	საჭიროა გლობალური სტანდარტების გამოყენება, ასევე ადამიანური რესურსებისა და მომსახურების ხარისხის გამოყენება.
	მოითხოვს ეკონომიკის საინვესტიციო-საინოვაციო დაინტერესების ფორმირებას.
	საჭიროა ეკონომიკის განვითარებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების გადალახვა.

[დობორჯგინიძე გ, 2014. 3]

მრავალი გამოკვლევის შედეგი ცხადყოფს, რომ მსოფლიო ქვეყნებში ეკონომიკის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების გამოყენება, მატერიალური მხარდაჭერა, მოტივაციის შექმნა და რაც ყველაზე მთავარია გამოცდილების დაგროვება. ამ გამოწვევის სირთულე ხშირად გამოწვეულია მენეჯმენტის არასასკმარისი დონით, მეცნიერებასთან სუსტი კავშირით და სხვ.

მიუხედავად ზემოთ თქმული გამოწვევებისა, გლობალიზაციას აქვს სერიოზული პოტენციალი, რითაც ქვეყანას მოუტანს სარგებელს. მთავარია ეფექტურად იქნას გამოყენებული ქვეყნის რესურსები.

ბევრი მეცნიერი და ასევე პოლიტიკოსი დიდ იმედებს ამყარებდა გლობალიზაციაზე. ისინი მიიჩნევდნენ, რომ გლობალური ბაზარი წარმატებით ჩაანაცვლებდა სახელმწიფოს და მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა. [19]

1990 წლიდან 2007-2010 წლებში მშპ წლიურად დაახლოებით 2,5 % - ით იზრდებოდა, თუმცა ზრდის მაღალი მაჩვენებლის მიხედვით „კაპიტალიზმის ოქროს ხანად“ 1950-1970 წლებია მიჩნეული, როცა მშპ საშუალოდ 4,9%-ით იზრდებოდა. მეტი თვალსაჩინობისათვის

იხილეთ გრაფიკი N 1.3. 1 მშპ-ს მაჩვენებელი



[დობორჯგინიძე გ. 2014. 3]

სამწუხაროდ „ოქროს ხანისგან“ განსხვავებით უკვე ბოლო 40 წელიწადია მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპი ორჯერ შემცირდა. პარადოქსულ ფაქტად ითვლება ზემოთ ხსენებული წლები, რადგან „გლობალური ეკონომიკის“ ზრდა „მსოფლიო ეკონომიკის“ ზრდის ტემპს ჩამორჩებოდა. კიდევ ერთი პარადოქსია ცხოვრების დონის

[19] დობორჯგინიძე. გ. „ლოგისტიკის როლი ქართული ეკონომიკის განვითარებაში“. 2014 გვ. 16

დაქვეითება, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში. პროფესორი ჯ.სტიგლიცი აღნიშნავს, რომ აშშ-ში დასაქმებულ მამაკაცთა უფრო დაბალი მაჩვენებელია, ვიდრე ეს 40 წლის წინ იყო. [20]

[20] დობორჯგინიძე. გ. „ლოგისტიკის როლი ქართული ეკონომიკის განვითარებაში“. 2014 გვ. 17

თავი II . ეროვნული ეკონომიკური სისტემა გლობალიზებულ ეკონომიკაში

2.1 სახელმწიფო ეკონომიკის როლი და ფუნქციები

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ეკონომიკას დიდი როლი აკისრია ქვეყნის განვითარებასა და კეთილდღეობის თვალსაზრისით. სხვადასვხა ეპოქაში სხვადასხვა ეკონომიკის მართვის სტილი იყო მიჩნეული მიზანშეწონილად. დროთა განმავლობაში კი გლობალიზაციისა და განვითარების მიხედვით ხდებოდა ცვლილელებები. ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს უამრავი განმარტება და შეხედულება აღნიშნულ საკითხზე.

ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში მეტად აქტუალური თეორიული და პრაქტიკული ღირებულების პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის განსაზღვრა, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის ფუნქციონირებაში მონაწილეობის ისეთი ოპტიმალური ვარიანტის გამოძებნა, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო საკუთრების დაცვას და საზოგადოებრივი წარმოების ზრდას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ისევე როგორც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების რთული პროცესი, გვიჩვენებს, რომ აღნიშნული პრობლემის მიმართ ჩამოყალიბებულია ორი განსხვავებული და დაპირისპირებული მიმართულება. პირველი მიმართულების მომხრეები ამტკიცებენ, რომ ცივილიზაციის განვითარების მაგისტრალურ გზას წარმოადგენს ეკონომიკის ლიბერალიზაცია, მისი ფუნქციონირება სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, ხოლო მეორე მიმართულების წარმომადგენლების თვალსაზრისით, პროგრესის მისაღწევად საჭიროა სახელმწიფოს მარეგულირებელი ეკონომიკური როლისა და ფუნქციების გაზრდა.

ამ ორი მთავარი მიმართულებიდან მეტნაკლები გადახრა სხვადასხვა ვარიაციებით ცნობილია ისტორიაში, მაგრამ ძირითადი არსი ყოველთვის ერთი და იგივე რჩებოდა: არც ეკონომიკის უსაზღვრო ლიბერალიზაცია და არც სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ზღვარს გადასული ჩარევა არ იძლევა სასარგებლო შედეგს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ წმინდა დემოკრატიული ურთიერთობის მატარებელი ეკონომიკა („laisser faire“-ს ტიპის კაპიტალიზმი) ბუნებაში საერთოდ არ არსებობს, რომ

რეალური ცალმხრივ განვითარებული ეკონომიკური ურთიერთობები არასოდეს არ არსებულა თვით მისი ჩამოყალიბების პირველ ეტაპზეც კი რაღაცა ფორმით, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. „ჯერ არც ერთ განვითარებულ ცივილიზაციას არ მიუღწევია წარმატებებისათვის მთავრობის გარეშე, რომელიც თავის მთავარ მიზანს ხედავს კერძო საკუთრების შესახებ მზრუნველობაში“ (ფ. ჰაიეკი). საზოგადოების განვითარების კვალობაზე იცვლებოდა მხოლოდ სახელმწიფოს როლი და ამოცანები ეკონომიკაში, მისი განხორციელების ფორმები, ინსტრუმენტები და მასშტაბები. [21]

სახელმწიფო ეკონომიკის როლთან დაკავშრებით მუდმივად მიმდინარეობს აზრთა სხვადასხვაობა, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ზოგიერთი ცნობილი ეკონომისტი მეცნიერის შეხედულებები: ეკონომიკის ლიტერატურაში სიტყვა ”მერკანტილიზმი” პირველად ადამ სმიტის ნაშრომებში გამოჩნდა. [22]

იგი წერდა, რომ არსებობს ორი ეკონომიკური სისტემა - სავაჭრო, ანუ მერკანტილიზმი და სასოფლო-სამეურნეო სისტემა. ეტიმოლოგიურად ეს სიტყვა წარმოდგება იტალიური ”მერკანტესაგან”, რაც ვაჭარს ნიშნავს. მერკანტილიზმი აღიარებდა სავაჭრო კაპიტალის უპირატესობას სამრეწველო კაპიტალთან შედარებით და ქვეყნის სიმდიდრედ მიიჩნევდა ფულს - ოქროსა და ვერცხლს.

შესაბამისად, მერკანტილისტების ძირითად ამოცანას წარმოადგენდა რაც შეიძლება მეტი ოქროსა და ვერცხლის მოზიდვა ქვეყანაში. მერკანტილიზმმა თავის განვითარებაში ორი საფეხური განვლო: 1. ადრეული მერკანტილიზმი (მე-15- 16 საუკუნეები) ე.წ. ფულადი ბალანსის თეორიით და 2. გვიანდელი მერკანტილიზმი (მე-16-17 საუკუნეები) სავაჭრო ბალანსის თეორიით. ადრინდელი მერკანტილიზმი, რომელიც ინგლისში ჩამოყალიბდა, გამოირჩეოდა ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის დასაბუთებით. კერძოდ: ქვეყნის სიმდიდრის გაზრდას მერკანტილისტები უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებით ცდილობდნენ; იკრძალებოდა ქვეყნიდან ოქროსა და ვერცხლის გატანა და განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქვეყანაში მონეტების შემოტანას. ა. სმიტმა საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური ლიბერალიზმის

[21] თეთროაშვილი ზ. „ეკონომიკური დემოკრატია“ თბილისი 2006 გვ. 42
[22] მექვაბიშვილი ე. „თანამედროვე კონომიკური თეორიები“ ლექციების კურსი 2009 გვ. 12

დოქტრინას. მან შეიმუშავა ”ბაზრის უხილავი ხელის” და ”ეკონომიკური ადამიანის” პრინციპები.[23]

მნიშვნელოვანია სმიტის განსაზღვრება, აქ ვხედავთ მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის ორგანული ერთიანობის მეთოდოლოგიური პრინციპის რეალიზაციას. მისი ძირითადი ნაშრომის სათაურიდან ” გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის, ბუნებისა და მიზეზების შესახებ” ჩანს, რომ მისი კვლევის ძირითადი მიზანი იყო ქვეყანაში შექმნილი სიმდიდრის წყაროებისა და ამ სიმდიდრის სხვადასხვა კლასებს შორის განაწილების შესწავლა. ამისათვის მან გამოიყენა შრომის დანაწილების კატეგორია, აჩვენა კავშირი შრომის დანაწილებას, შრომის მწარმოებლურობასა და საზოგადოების სიმდიდრის ზრდას შორის. მისი კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნა მდგომარეობდა საქონლის ღირებულების შრომის პროცესით შექმნის დასაბუთებაში.

სმიტის მიხედვით, შრომის დანაწილება წარმოშობს საქონელთა გაცვლას, ხოლო ეს უკანასკნელი კი - ფულის აუცილებლობას. მან დაახასიათა ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ფუნქცია. სმიტმა აგრეთვე გამოიკვლია მისი თანამედროვე ინგლისური საზოგადოების შემოსავლების რაობა.

გამოჰყო რა სამი კლასი - მუშები, კაპიტალისტები და მიწათმფლობელები, დაახასიათა მათი შემოსავლების სამი ფორმა - ხელფასი, მოგება და მიწის რენტა. ხელფასის განმარტებაში სმიტი თავის წინამორბედებს ეთანხმებოდა და აღნიშნავდა, რომ მუშის ხელფასი იმ შემოსავლის ტოლია, რაც მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ხელფასს იგი ”ბუნებრივ გასამრჯელოს” უწოდებდა. მოგებას სმიტი უკავშირებდა ფაბრიკანტის მიერ კაპიტალის დაბანდებით გაწეულ რისკს, რისი გასამრჯელოც მას უნდა მიეღო. იგი მიუთითებდა, რომ მოგების წყაროა მუშის შრომა, რომელიც ქმნის ღირებულებას და ეს უკანასკნელი იყოფა ორ ნაწილად: შრომისათვის მიღებულ გასამრჯელოდ, ანუ მუშების ხელფასად და ფაბრიკანტის, ანუ დამქირავებლის მოგებად.

სმიტი რენტას განსაზღვრავს როგორც მოსავლის ფასსა და იმ თანხა შორის სხვაობას, რასაც წარმოქმნის ხელფასი და მოგება ერთად აღებული. ეს სხვაობა მეიჯარეს

[23] მექვაბიშვილი ე. „თანამედროვე კონომიკური თეორიები“ ლექციების კურსი 2009 გვ. 12

(მიწათმფლობელს) ეძლევა, რომელმაც თავისი ნაკვეთი დროებით დაუთმო მოიჯარეს. ამგვარად, მიწის რენტა მიწის სარგებლობისათვის გადახდილი ფასია და მას, ისე როგორც მოგებას, საფუძვლად უდევს მუშის შრომით შექმნილი ღირებულება.[24]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტრადიციული თვალსაზრისით, ეკონომიკური განვითარება ეხება ეკონომიკურ სისტემას, რომელიც შეიძლება ნიშნავს, რომ გაზარდოს კაპიტალი ან წლიური წარმოება, მაგრამ თანამედროვე გაგებით, ეკონომიკური განვითარება არის ზრდა რეალური შემოსავლის, საშემოსავლო სფეროების გაზრდის და განვითარების. 25

ეკონომიკური განვითარების დროს ხდება სხვადასხვა ნაბიჯების გადადგმა. ამერიკელი ეკონომისტის როსტოვის თქმით, ეკონომიკური განვითარება ხუთ ნაბიჯს მოიცავს:

- ტრადიციული სცენა ამ ტიპის ეტაპებში გაცვლებს როგორც ბარტერულ სისტემაში. სოფლის მეურნეობა მიიჩნევა ძირითადი სექტორისა და რესურსების რეგულირება სხვადასხვა წარმოების საშუალებით,
- გარდამავალი ეტაპი ამ ეტაპზე პროდუქციის დამზადება ხდება. ამიტომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სავაჭრო აქტივობების გაზრდაა საჭირო,
- ეტაპობრივად გადაყავთ ამ ეტაპზე ინდუსტრიალიზაციის სექტორის განვითარება. ამავე დროს, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტები გაძლიერდება,
- გამტარუნარიანობის დონის ამაღლება, ამ ეტაპზე საინვესტიციო შესაძლებლობები გაიზრდება ტექნოლოგიურ მიღწევებთან ერთად,
- მაღალი მასობრივი მოხმარების ეტაპი, ამ ეტაპზე მრეწველობა უფრო ავტორიტეტულია და მომხმარებელზე ორიენტირებული.

[24] მექვაბიშვილი ე. „თანამედროვე კონომიკური თეორიები“ ლექციების კურსი 2009 გვ 13

25 International Journal of Business and Social Science Special Issue – December 2011

შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეკონომიკური მაჩვენებლების რაოდენობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები ან შესრულების მაჩვენებლები შემდეგია:

- მთლიანი შიდა პროდუქტი - ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საერთო ღირებულება,
- GNP: მთლიანი ეროვნული პროდუქტი - ყველა პროდუქციისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება წელიწადში წარმოებული მოსახლეობის მიერ და შრომა.

ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი: შემოსავლის წყაროების მთლიანი რაოდენობა, რომელიც გაყოფილია მოსახლეობის ზომით. [26]

დემოკრატიის ფარგლებში აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური როლის დადგენა, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის ფუნქციონირებაში ოპტიმალური გზების მოძებნა, რომელიც დაიცავს საკუთრებას და წარმოების ზრდას საზოგადოებაში, ასევე მისი ეფექტუნარიანობის ამაღლებას. ეკონომიკა უძველესი დროიდან ჩამოყალიბებულია ორი რადიკალურად განსხვავებული და ერთმანეთს დაპირისპირებული მიმართულება.

- პირველი მიმართულება ამტკიცებს, რომ ერების განვითარების მთავარი გზა ეკონომიკის ლიბერალიზაციაა. ეს მიმართულება მიიჩნევს რომ ქვეყანა არ უნდა ჩაერიოს ეკონომიკის ფუქნციონირებაში,
- მეორე მიმართულების თვალსაზრისით, წინსვლისთვის საჭიროა სახელმწიფომ დაარეგულიროს ეკონომიკის როლი და ჩაერიოს მისი ფუნქციების გაზრდაში.

სახელმწიფო ეკონომიკის განვითარების ისტორიის თვალსაზრისით არსებობს უამრავი ცნობა ამ მიმართულებებით , მაგრამ ძირითადი იდეა ყოველთვის ერთსა და იმავეს გულისხმობდა, ოქროს შუალედს, ანუ არც ეკონომიკის თავისუფლების გადამეტებას და არც ეკონომიკაში სახელმწიფო როლის ზღვარგადასულ ჩარევას.

მნიშვნელოვანია ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულება, რომ ჯერ არც ერთ განვითარებულ ცივილიზაციას არ მიუღწევია წარმატებებისათვის

[26] International Journal of Business and Social Science Special Issue – December 2011

მთავრობის გარეშე, რომელიც თავის მთავარ მიზანს ხედავს კერძო საკუთრების შესახებ. ადამიანების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა ქვეყნის როლი და საკითხები ეკონომიკაში, მისი გამოყენების ხერხები და მასშტაბები.

მნიშვენელოვანია აღინიშნოს, რომ თავიდან ეს იყო მწარმოებელთა ახალი ფენის საკუთრების დაცვა, კომუნიკაციისა და კავშირების განვითარების ხელშეწყობა, შემდგომ ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის სტრუქტურის შედარებით გართულების გამო, ყოველდღიურად ხდებოდა ეკონომიკური მექანიზმების დახარისხება.

აღნიშნული მექანიზმის მოთხოვნისა და ცვალებადობის შესაბამისად, მის დაქვემდებარებაში შედიოდა მხოლოდ ხალხთა ურთიერთობების ვიწრო სეგმენტი. შესაბამისად სახელმწიფოს აღარ ეხებოდა სოციალური, ეროვნებათაშორისო, ეკონომიკური და სხვა უერთიერთობები.

საბოლოოდ ბაზარს არ შეეძლო საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირება, მიუხედავად მასზე ზეგავლენისა. სწორედ ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირება სახელმწიფომ თავის თავზე აიღო, რადგან მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია საბაზრო მექანიზმის შეფერხებების გამოსწორება და საჭირო მდგომარეობაში ჩაყენება.[27]

ბაზრისა და სახელმწიფოს ეს ურთიერთშეთანხმება რთული სისტემაა. ევოლუციის პროცესში, ეს ორი „სისტემა“ ხდება სრულყოფილი და ერგებიან ერთმანეთს. სასაქონლო ბაზართან ერთად, წინა ფლანგზე იწევს ფასიანი ქაღალდების ანუ კაპიტალის ბაზარი, შესაბამისად, მუდმივად იჩენს თავს ახალი ფინანსური მეთოდები, ფორმები და ინსტრუმენტები.

პარალელურად ვითარდება სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, ასევე რთულდება და იღებს სხვადასხვა ფორმებს. სახელმწიფო უფრო და უფრო მონაწილეობს ეროვნული შემოსავლის გადანაწილებაში სხვადასხვა ასაკის, სოციალურ ჯგუფებსა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებს შორის.

იმისათვის რომ, განისაზღვროს სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და მხედველობაში მივიღოთ ამ ქვეყნისთვის დამახისთებელი ტრადიციები და თავისებურებები. უპრიველეს ყოვლისა, უნდა

[27] თეთროაშვილი ქ. ქარდავა მ. „ ეკონომიკური დემოკრატია“ თბ. 2006 წ გვ 21

გავითვალსწინოთ ახალი ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ტენდეციები, რითიც შესაძლოა შეიცვალოს სახელმწიფოს ეკონომიკური როლი.

ახლა კი განვიხილოთ მეცნიერ-ეკონომისტების მიერ ერთგვაროვნად დღემდე შეუფასებელი ქვეყნის როლი და ვალდებულებები.

ზემოთ ხსენებულ გარდამავლ პირობებში განიხილავენ ძირითად ამოცანებს და ფუნქციებს:

- თავისებური წესები, რომელიც შეიქმნა სამართლებრივი და საკანონმდებლო ეკონომიკის ბაზრისათვის,
- მონოპოლიების, ეკონომიკური, პოლიტიკური და ფინანსური თვალთახედვით, მნიშვნელოვანი წარმოების, პირდაპირი სახელმწიფო მართვა და ფლობა,
- სამრეწველო პოლიტიკის აქტიური გატარება და დამუშავება, ტექნოლოგიური სტრუქტურების პროგრამებში მონაწილეობა (ნაწილობრივი დაფინანსება), კრედიტების გაცემა შეღავათიანი პირობებით და ფულადი დახმარება სხვა ხერხებით,[28]
- ეკონომიკური რეგულირებებისათვის აქტიური გამოყენება იმ ინსტრუმენტებისა, როგორიც არის ტარიფები, საბანკო პროცენტები, გადასახადები, ბაჟები და ა. შ,
- სოციალური პროგრამების რეგულირება, რეგიონების დამოუკიდებლობა, მართვის პირობებისა და თვითდაფინანსების შექმნა, რაც გამორიცხავს სეპარატისტულ ქმედებებს ფედერაციის ინტერესების საკითხებში,
- საგარეო ეკონომიკური მოქნილი პოლიტიკის შექმნა, რომელიც თავის მხრივ მიმართული იქნება საერთაშორისო ეკონომიკის ურთიერთობებში შესვლისკენ, ასევე ერონვული ეკონომიკის განვითარების ძირითადი წყაროების დაცვისკენ,
- სოციალური პოლიტიკის მართვა და მისი პროცესების გატარება.

1998 წელს საქართველოში გამოიცა ეკონომიკის ძირითადი თეორიების სახელმძღვანელო ადეიშვილისა და ასათიანის ხელმძღვანელობით, სადაც

[28] თეთროაშვილი ქ. ქარდავა მ. „ ეკონომიკური დემოკრატია“ თბ. 2006 წ გვ 21

ჩამოყალიბებული იყო ტოპოლოგია, რის მიხედვითაც ქვეყანა ახლორციელებს ფუნქციებს:

1. აფექტაციის ფუქნცია,
2. გადანაწილების ფუნქცია,
3. რეგულირებადი ფუნქცია.

სახელმწიფოს ფუქნციის მრავალ საფეხურს განიხილავს ვ. ბალიკოევი და აჯამებს სამ ჯგუფად:

1. მაპროექტებელი ფუნქცია,
2. დამასტაბილურებული ფუნქცია,
3. განმანაწილებელი ფუნქცია.[29]

ქვეყნის ფუნქცია ეკონომიკაში მაკონელისა და ბრიუს აზრით შედარებით ბევრი და უფრო მრავალნაირია:

- სამართლებრივი ბაზრის უზრუნველყოფა,
- კონკურენტუნარიანობის დაცვა,
- შემოსავლების გადანაწილება,
- ეკონომიკის სრული კონტროლი და სტიმულირება.

ე. მექვაბიშვილი ქვეყნის ეკონომიკურ ფუნქციების შემედგენელ ნაწილად განიხილავს: მიკროეკონომიკური სტაბილორბის დაცვას, სტრატეგიული პოლიტიკის დადგენას, ქვეყნის სხადასხვა სექტორების გამოყოფას და შექმნას.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან და სხვადასხვა ადამიანების აზრის გათვალისწინებით ვასკვნით,რომ ქვეყნის ეკონომიკური ფუნქციები სხვა, უფრო ზოგად მოვალეობებთანაა „მიბმული“:

- სოცფუნქცია,
- ეკოფუნქცია,
- დაბეგვრა და შემდეგ გადასახადების შეგროვება,
- მაცხოვრებელთა უფლებების დაცვა, ასევე კანონების და წესრიგის დაცვა,
- ქვეყნის საგარეო და საშინაო ფუნქციები,
- სამყარო მეცნიერებაში შესვლის ფუქნცია,

[29] თეთროაშვილი ქ. ქარდავა მ. „ ეკონომიკური დემოკრატია“ თბ. 2006 წ გვ 22

- პარტნიორობის და ინტეგრაციების ფუნქცია უცხოურ სახელმწიფოებთან,
- საკუთარი თავის დაცვის ფუნქცია,
- მსოფლიოში წესრიგის დაცვის ფუნქცია,
- გლობალურ პრობლემებში სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის ფუნქცია. [30]

2.2 ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები

მეოცე საუკუნის ოციან წლებში, კეინსმა ფართო მასშტაბებზე გამოიტანა თავისი აზრი და თქვა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობები ვალდებულები არიან, მონახონ სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა გზები, ყოველთვის უზრუნველყონ და შეავსონ ეკონომიკის წინსვლისთვის საჭირო სისტემა. ჯონ კეინსის აზრით, ნებისმიერი პოლიტიკის საფუძვლის განვითარებას შესაბამისი მართვის მეთოდი განაპირობებს.

კეინსის ამ მნიშვნელოვან აზრს ეთანხმება ჟიუგლერის ციკლების თეორიაც. მსოფლიო მოცემული მომენტისათვის მეოთხე ციკლის ანუ დაცემის ფაზაშია, მეხუთე ციკლი ანუ ეკონომიკის ზრდა-განვითარება 2019 წლიდან, რისთვისაც მზადების დაწყება არის საჭირო. მზადება კი ნიშნავს ტექნოლოგიების ინოვაციებს და მათ სამეურნეო საქმეში გამოყენებას. ამგვარად, მოთხოვნათა ჩამონათვალში ექცევა ეკონომიკის განვითარება.

საქართველოში მოღვაწე მეცნიერი ვლადიმერ პაპავა პოსტკომუნისტურ რეფორმების შესახებ საუბრობს და გამოყოფს რამდენიმე ეტაპს:

1. საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია საქართველოს დამოუკიდებლობა და ქვეყანაში დამოუკიდებელი ეკონომიკის ჩამოყალიბება პირველივე დისკუსიებით,
2. მეორე ეტაპი დაიწყო 1990 წლის შემოდგომას, როდესაც აირჩა უმაღლესი საბჭო, რამაც გამოიწვია წარუმატებელი კანონის მიღება ეკონომიკაში,

[30] მექვაბიშვილი ე. „თანამედროვე კონომიკური თეორიები“ ლექციების კურსი 2009 გვ 13

3. პოპულისტური ეტაპი ანუ მესამე ეტაპი დაიწყო 1991-1992 წლებში.[31]

გადატრიალებების შემდეგ, როდესაც საქართველოში მთავრობამ რეფორმების გატარება დაიწყო,რაც მოულოდნელი ცუდი შედეგებით დასრულდა: მოსახლეობას მიწები და ბინები უფასოდ გადაეცა, ამან კი მშენებლობის სექტორებსა და სოფლის მეურნეობას დიდი დარტყმა მოუტანა. აი ამ დროს დაიწყო საქართველოს მთავრობამ პოპულისტური ეტაპის სისრულეში მოყვანა:

1. საშინაო ფასები გაუთანაბრდა მსოფლიო ფასებს, გაიზარდა ფასების კონტროლი,
2. მსოფლიო ეკონომიკის მსგავსად სოციალურად დაუცველთა დახმარება და დაბალი ანუ უმცირესი ხელფასების დარეგულირება,
3. დეპოზიტები საბანკო სივრცეში ასევე გაუთანაბრდა მსოფლიო დონეს და 2%დან 5%მდე გაიზარდა, გრძელვადიანი დეპოზიტები 9%დან 80%მდე შეიცვალა, რამაც ვერ ასახა წლიური ინფლაცია,
4. შემდეგ წელს ანუ უკვე 1992 წელს მოხდა პირადი დანაზოგების დასტაბილურება: გადადებული სტატუსი მიიღო და გაორმაგდა ჩამოფასებული დეპოზიტები, ფულადი დეპოზიტებმა მიიღო რეალურად უკეთესი სახე, რამაც სისრულეში მოიყვანა საბანკო დეპოზიტები,
5. ამავე წელს სახელმწიფოს მიერ არ მოხდა საბიუჯეტო დანახარჯის ინვესტიციებით შემცირება და ისევ იმავე ანუ 25%იან ზღვარში დარჩა,
6. ამავე წელს საბჭოთა კავშირის ბონდების ჩანაცვლების მიზნით გამოიცა ქართული ბონდები, თუმცა რამდენიმე წელი მას ვერ იყენებდნენ,
7. 1991 წელს საქართველოში შეიცვალა საგადასახადო კოდექი, დაიწყო ახალი რეფორმა და ინტეგრაცია,
8. 1992 წელში საქართველოში დაწესდა სასაზღვრო გადასახადები, რამაც იმპორტის შემცირება და ექსპორტის გაზრდა მოყვა,

[31] ბურდული თ., „ ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე“ თბ. 2015 გვ 25

9. ხელფასის ინდექსის მეშვეობით 1991 წელს დარეგულირდა ღარიბთა და მდიდართა შემოსავალი, მაგრამ ერთსა და იმავე პროპორციით, რამაც გამოიწვია ღარიბთა შემოსავლის არა იმდენითვე გაზრდა, რამდენითაც მდიდარის შემოსავლის გაზრდა. ამას მოჰყვა ეკონომიკის უკან დახევა, რადგან პროდუქციებზე ფასის გაზრდამ კიდევ უფრო შეამცირა ღარიბთა შემოსავალი,[32]
10. სახელმწიფო, მიუხედავად ამ რეგულაციებისა ცდილობდა, ჩარეულიყო საწარმოთა საქმიანობაში.

საქართველო გამოდის კრიზისიდან 1995 წელს. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ინსტიტუციურ რეფორმებს. ყველაზე დიდ საფეხურს ეკონომიკამ 1997 წელს მიაღწია. ამის შემდეგ კი მკვეთრი დაცემა განიცადა და რუსეთის კრიზისმა ხელი შეუშალა ეკონომიკის მკვეთრ განვითარებას. სწორედ ამ მომენტიდან ინფლაციამ გაზარდა უცხოური ვალუტა, 2003 წელს კი ფაქტიურად ორვალუტიანი ზონა ჩამოყალიბდა: ეროვნული და დოლარი. აქედან ეროვნული ვალუტა ემსახურებოდა გადასახდელებს, გარიგებებსა და ხარჯებს ხოლო დოლარი სხვის გარიგებებს და ინვესტიციებს.

1994 და 1998 წლებში საჭიროებამ მოითხოვა უმნიშვნელოვანესი რიგი რეფომები ეკონომიკის სტაბილიზაციისთვისა და ლიბერალიზაციისათვის. შესაბამისად შეიცვალა საბანაკო სისტემა, შემოიღეს ერ. ვალუტა ლარი, მოხდა პრივატიზება მცირე და შედარებით მსხვილი საწარმოებისა. ეს იყო ის რიგი რეფორმები რაც ჩატარდა ეკონომიკის გასამყარებლად, თუმცა, ეს განვითარების დონე არ აღმოჩნდა საკმარისი სხვა , კერძოდ სოციალური ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

1993 წელს საქართველოში კიდევ ერთი მოვლენა, ჰიპერინფლაცია მოხდა. ეროვნულმა ბანკმა საგანგებო ზომებს მიმართა თავიდან ფინანსირების მიზნით, მაგრამ მის შესაჩერებლად ბიუჯეტს, რომელსაც სწრაფად მზარდი დაცემა ემუქრებოდა ნაღდი ფულის არაბრუნვის გამო, ძალა არ შესწევდა. ამან კი გამოიწვია ძალიან დიდი დავალიანება სოციალური კუთხით. [33]

---

[32] ბურდული თ., „ ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე“ თბ. 2015 გვ 25

[33] ბურდული თ., „ ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე“ თბ. 2015 გვ 25

ჰიპერინფლაციის გადალახვაში დიდი როლი მიუძღვის კუპონის შემოსვლას საქართველოში, მის დამყარებას და კურსის სტაბილურობას. მნიშვნელოვნად შეამცირა ფასების ზრდა, საკმაოდ შემცირდა სხვაობა საბაზრო კურსსა და ოფიციალურ კურსს შორის, ამისდამიუხედავად ნდობა კუპონისადმი მაინც ვერ გამყარდა. თვალსაჩინო იყო კუპონის ხელის შეშლა ეკონომიკის თანდათან განვითარებაში, ამიტომ ეროვნული ვალუტის დადგენის დრო მოვიდა.[34]

საქართველოში ვალუტის შემოღება უჩველუო ვითარებაში მიმდინარეობდა: ბაზრის შეზღუდულ ნაწილში ასრულებდა კუპონი თავის როლს. საქართველოს ბანკმა მოულოდნელი ხერხი შეიმუმშავა, რაც მოიცავდა ახალი ფულის ერთეულის დოლარსა და რუბლზე გაცვლას. მოწოდება იყო შემდეგი რომ ბანკებს ყოველგვარი შეფერხების გარეშე მოეხდინათ ეს პროცესი, დოლარი და რუბლი გაეცვალათ ლარში. საბოლოოდ კი ქვეყანა სრული ნდობითა და პერსპექტივებით მოეკიდა აწ უკვე დამკვიდრებულ ლარს .[35]

1998 წელს, აგვისტოში, კრიზისმა რომელმაც რუსეთში მოიკიდა ფეხი, დომინოს პრინციპით საქართველოს ეკონომიკას მიაყენა ზიანი, რადგან ამ პერიოდში რუსეთი წარმოადგენდა სქართველოსთვის ყველაზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორს.

ზემოთხსენებული კრიზისის დასკვნით ეტაპზე ლარის კურსი ძალიან შემცირდა, დაახლოებით 100 პუნქტით, საიმპორტო საქონელის ფასი გაზიარდა 1,5 ჯერ ,ხოლო ყველაზე დაბალი ლარის კურსი 1999წელს დაფიქსირდა.[36]

ამ კრიზისმა იმოქმედა ასევე ეკონომიკის აგენტების შემოსავლებზე, ამიტომ მათი დაცვის მიზნით არასწორ ხერხს, ზეწოლას, მიმართეს რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა კრიზისი, შეზღუდული იქნა სავალუტო ბაზარი, დოლარი გახდა მოთხოვნადი. მომხდარი მოვლენების შიშმა და პესიმისზმის მოლოდინდმა იმოქმედა ლარის ნდობის ხარისხზე და ლარის კურსი კიდევ უფრო დაეცა. ამ კატასტროფის აღმოსაფხვრელად ეროვნულმა ბანკმა დაიწყო სწორედ რომ საჭირო ლარის ინტერვენცია, რასაც 110 მილიონი დოლარის დახარჯვა მოყვა. 1993 წელს ეროვნული ბანკის სათავემ უარი განაცხადა ლარის კურსის სულ ერთ მაჩვენებლზე ყოფნის შემოთავაზებაზე და მცოცავ

[34] ხადური.ნ., „ეკონომიკური სისტემა საქართველოში“. თბ. 2013 წ.
[35] ასათიანი. რ., „გლობალიზაცია ეკონომიკური თეორია და საქართველო“, თბ. 2010 წ
[36] ბაქრაძე გ. 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები , თბ. 2014

კურსზე გადავიდა. ამ რეფორმამ გაამართლა და კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა გახდა.

ამასობაში 2005 წელს რეფორმების მეორე ტალღა ამოქმედდა და შექმნა სრულაიდ განსხვავებული , საქართველოზე მორგებული კოდექსი. შეიცვალა შემოსავლების სასგადასახადო განაკვეთი 17 და 20 პროცენტიდან ჩამოვიდა 10%-ზე. არ შეცვლილა მოგების გადასახადი -20%. ახალი კოდექსის მიხედვით 2010 წელს შეადგინეს 6 ახალი გადასახადი, რომელთაგან უმეტესობა სახელმწიფოებრივია- მოგების , დღგ, იმპორტის, აქციზის, ქონების და საშემოსავლო გადასახადები.

2004 წლიდან ამოქმედდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესი პრივატიზაცია, რომლის პროცესშიც არ მიმდინარეობდა რაიმე შეზღუდვა, როგორიცაა ოფშორული კომპანიების და სხა კომპანიებისთვის საკუთრების გადაცემა. 2005-2011 წლებში პირივატიზაცია შეხო 4280 კომპანიას, პროცესიდან შემოსავალი კი 1,6 მილიარდი დოლარი იყო.

მსოფლიო ვაჭრობის შესაბამისად საქართველოში ჩატარდა რეფორმები, რომლებთა მიზანი იყო რეორგანიზაცია და სავაჭრო ლიბერალიზაციის რეგულირების გამარტივება. გამარტივდა როგორც ექსპორტი ასევე იმპორტი, შემცირდა გადასახადების ვალდებულებები, სატარიფო რეგულირებები გამარტივდა, გაუმჯობესდა გარემო ინვესტიციებისა და ინვესტორებისთვის, დაიწია საბაჟოსა და ნებართვების ბარიერებმა. ასევე გაიზარდა კრედიტების გაცემის მაჩვენებელიც.[37]

ზემოთ ხსენებულმა რეფორმებმა დიდი ზეგავლინა მოახდინა საწარმოთა კონკურენტუნარიანობაზე, თუმცა თავისუფალი რეჟიმი ყველასთვის მომგებიანი ვერ აღმოჩნდა.

ეკონომიკის ზრდის მთავარი ფაქტორი ქვეყნის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინვესტიცები იყო, რომელიც ძირითადად ინფრასტუქტურას ეხებოდა. ყველანაირი ფაქტორების მწარმოებლურობის საშუალო ზრდა 2,8%-ს შეადგენდა.

რეფორმის მოლოდინი, რომელსაც ქმნიდა უცხოური ინვესტიციების ხელის შეწყობა განათლებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებში, რაც გამოიწვევდა ექსპორტისა

[37] საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის ოცი წელი" 2013

და იმპროტის გაზრდას, ვერ განხორციელდა იმ დრონეზე, რომ ხელი შეეწყო ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდისთვის.

ზემოთ ნახსენებ ფაქტებზე დაყრდნობით, ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებზე შეიძლება ორი დასკვნის გაკეთება:

1) არც თუ ისე შორეული წარსულის ეკონომიკურმა პოლიკიტამ წარმატებას მიაღწია ეკონომიკის ზრდის მიმართულებით, მაგრამ ხელი ვერ შეუწყო დასაქმებებს.

2) ეკონომიკის ზრდამ ვერ მიაღწია მოსახლეობის ძირითად ნაწილამდე, ამიტომ სიღარიბის მაჩვენებელი კვლავ მაღალია. [38]

საქართველო წარმოადგენს გარდამავალი ეკონომიკის განვითარების ეტაპზე მყოფ ქვეყანას, ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელება და ამით ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკურ-სოციალური პირობების გაუმჯობესება. ამიტომ ის მუდმივად ცდილობს მოიზიდოს ინვესტიციები ქვეყნის გარეთ და განახორციელოს ხელშეწყობა ქვეყნის შიგნით მყოფი კომპანიებისათვის ინვესტიციის განხორცილების თვალსაზრისით.

ამიტომ მუდმივად ხორციელდება ინვესტიციების საფინანსო-საკრედიტო რეგულირება, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის საინვესტიციო გარემოსთან.

სწორედ მისი მეშვეობით ხდება საინვესტიციო გარემოს დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოშობა/აღმოფხვრა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საინვესტიციო ხასიათის ფინანსური გადაწყვეტილებები პირდაპირაა დამოკიდებული მთელი რიგი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების მოწესრიგებასთან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირება წარმოადგენს. ცნება „საინვესტიციო გარემო“ მოიცავს ყველა იმ ფაქტორს, რომლებიც მხედველობაში მიიღება ინვესტორების მიერ კაპიტალდაბანდებების განხორციელებამდე და რომლებიც საბოლოო ჯამში აისახება ისეთ კომპლექსურ მაჩვენებელში როგორიცაა საინვესტიციო რისკი. [39]

---

[38] საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის ოცი წელი” 2013

[39] ხურცია.ლ საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში 2015 წელი გვ 192 09/06/2019

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ საინვესტიციო გარემო სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაა, რომლის ფორმირებაც ხორციელდება მიკრო და მაკრო ეკონომიკაზე საკმაო რაოდენობით ურთიერთდაკავშირებული პროცესების გავლენის საფუძველზე და იწვევს მდგრადი საინვესტიციო მოტივაციის წარმოქმნას.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედი მაჩვენებლებია:

- მაკორეკონომიკური პარამეტრები,
- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა,
- კერძო საკუთრების უფლება,
- სესხის პოლიტიკა და მათი მომსახურება,
- საგადასახადო რეჟიმი,
- პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში,
- ფორსმაჟორული სიტუაციების შექმნის საშიშროება და გეოპოლიტიკური მდებარეობა.

აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა შორის ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ერთადერთია, რომელზეც სახელმწიფო გავლენას ვერ მოახდენს. იგი ყალიბდება გეოგრაფიული და მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ზეგავლენით, მაგრამ ხელისუფლებას შეუძლია შესაბამისი პირობების შექმნა, რათა უცხოელმა ინვესტორმა ყველა პოტენციური ვარიანტიდან მოცემული ქვეყანა აირჩიოს კაპიტალდაბანდებების განსახორციელებლად.

ასევე უნდა ითქვას, რომ საინვესტიციო გარემო გულისხმობს ქვეყანაში რეალურად არსებულ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ გრძელვადიანი დაბანდებებისათვის უცხოური კაპიტალის სულ უფრო მზარდი ოდენობით ინტენსიურ მოზიდვას ან განრიდებას. ე.ი. კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, საინვესტიციო გარემო შეიძლება იყოს ხელსაყრელი და არახელსაყრელი, რომელსაც კონკრეტული ნაბიჯების გადადგმამდე ყველა ინვესტორი ითვალისწინებს.

ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს საფუძვლიანი გაანალიზება და რისკფაქტორების გათვალისწინება ყველა ინვესტორის პირველადი ამოცანაა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მცდელობით საქართველოში საინვესტიციო გარემოს

შექმნის მიზნით 2017 წელს იქნა შემუშავებული კანონი საქართველოს საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ – კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს.

საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ - კანონის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა, ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. [40]

საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ – კანონის მიზანია, შეიქმნას მიმზიდველი გარემო ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხელი შეეწყოს კაპიტალისა და ტექნოლოგიების შემოსვლას საქართველოში.

საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ – კანონის მიზანია საქართველოში ტურიზმის განვითარება და მეწარმეობის ხელშეწყობა, რისთვისაც ეს კანონი ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს.

საქართველოს ხელისუფლება მუდმივად ცდილობს მოიზიდოს ინვესტიციები და შექმნას სასურველი გარემო ინვესტიციების განსახორციელებლად. ამაზე მეტყველებს „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“ -ის დოკუმენტში არსებული სტრატეგიული ხედვა და გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საქართველოში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება და გამჭვირვალობა.

დოკუმეტში აღნიშნულია რომ საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ უმთავრეს პრინციპს ემყარება. პირველი პრინციპი ეკონომიკის წარმოების სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. [41]

---

[40] ბარათაშვილი ე. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები თბილისი 2009 წელი გვ 78

[41] ბარათაშვილი ე. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები თბილისი 2009 წელი გვ 78

მეორე პრინციპია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში (დიასპორის, მიგრანტების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა ჯგუფების ჩათვლით), ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

მესამე ძირითად პრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, ასევე ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება წარმოადგენს. [42]

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა აღიარებს დემოკრატიული განვითარების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის, კანონის უზენაესობისა და ეფექტიანი მმართველობის პრინციპებს, რომელთაც ეფუძნება მისი პოლიტიკა. ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედია.

საქართველოს მთავრობა მოწოდებულია განუხრელად დაიცვას ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კურსი და უზრუნველყოს საერთო ევროპული ფასეულობების მტკიცე მხარდაჭერა, რაც ევროკავშირთან დაახლოების საფუძველი გახდება. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას, რაც „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“ ეფექტიან განხორციელებას, რაც ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის საწინდარია. განვითარების ამ ეტაპზე და არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის მიზანი ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაა, რომელიც ქვეყნის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს.

ასევე ნათქვამია, რომ ეკონომიკური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ეკონომიკური თავისუფლებისა, საკუთრების უფლების პატივისცემასა და დაცვას. ამავდროულად, სახელმწიფო იქნება ეკონომიკურ პროცესებში სამართლიანობის დაცვის გარანტი.

[42] „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობა აამოქმედებს ეკონომიკის მარეგულირებელ მექანიზმებს, კრიზისულ შემთხვევაში კი ხელს შეუწყობს ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირებას.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპი კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფაა, მთავრობის ოპტიმალური, ეფექტიანი და გამჭვირვალე საქმიანობის პირობებში. ეს გულისხმობს იმგვარი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, როდესაც კერძო სექტორი თავად იღებს გადაწყვეტილებებს, დაცულია საკუთრების უფლების უზენაესობა და ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად კერძო სექტორი გვევლინება.[43]

თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები შერწყმული იქნება სახელმწიფო რეგულაციების ოპტიმალურ მოდელთან. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას. ოპტიმალური და ეფექტიანი მთავრობის პრინციპზე დაყრდნობით, სახელმწიფო მინიმალურად ჩაერთვება სამეწარმეო საქმიანობაში და კონკურენციას არ გაუწევს კერძო სექტორს.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“ ეკონომიკურ აქტივობაში შემოიფარგლება მხოლოდ იმ სფეროებში საქმიანობით, რომლებშიც კერძო სექტორი სუსტი და არაეფექტიანია. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს.

უცხოური ინვესტიციებისადმი ქვეყნის მზაობისა და მიმზიდველობის უზრუნველყოფა შესაძლებელი გახდება სტაბილური და პროგნოზირებადი ეკონომიკური პოლიტიკით, ასევე საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან ინტეგრირებით და ქვეყნის ფინანსური რისკების შემცირებით.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, იხელმძღვანელებს სოციალური უსაფრთხოების და სოციალური სამართლიანობის პრინციპებით. უმუშევრობის შემცირება და ღირსეული შრომის პირობებით მოსახლეობის უზრუნველყოფა, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი

[43] „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020

განათლების, ჯანდაცვისა და საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ინკლუზიურობაზე ორიენტაცია ამ პრინციპების განმახორციელებელ ინსტრუმენტებს წარმოადგენს. [44]

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კეთილდღეობის ზრდას უმუშევრობის შემცირებით მიაღწევს. ამავდროულად, ხელისუფლება მოსახლეობას საბაზისო სოციალური გარანტიებით და უღარიბესი ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფს.

საქართველოს მთავრობა პრიორიტეტულად მიიჩნევს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც, პირველ რიგში, დასახული კეთილდღეობის მიღწევას აფერხებს. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ანალიზის საფუძველზე ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას სამართლიანი და დაცული ბიზნესგარემო. მისი ამოცანაა, აგრეთვე, ბიზნესის განვითარების სტიმულირება ინოვაციების, სამეწარმეო უნარების განვითარების და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობით, რაც ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. კეთილდღეობის მისაღწევად სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებისთვის საბაზისო სოციალური დაცვის სისტემის შექმნისა და შესაბამისი სერვისით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

2.3 გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები

განვითარებაში გლობალიზაციის პროცეს დიდი როლი აკისრია, ის შეიძლება იყოს წარმატების და კრიზისის გამომწვევი სხვადასხვა ქვეყნებისათვის, ან მთლიანად მსოფლიოს მასშტაბით. ყველასათვის ცნობილია მსოფლიო ფინანსური კრიზისები,

[44] „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“

რომლებიც სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მიზეზებმა გამოიწვია. მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, როგორ მოქმედებს გლობალიზაცია მსოფლიოს ეკონომიკის განვითარებაში.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გლობალურ ბაზრებს. გლობალური ბაზრის მიხედვით, "ისტორიულად განსხვავებული და ცალკეული ეროვნული ბაზრების შერწყმა -ერთ უზარმაზარ გლობალურ ბაზარზე." გლობალური ბაზრების გაფართოებით მოხდა საქონლის ლიბერალიზაცია ეკონომიკური საქმიანობისა და სახსრების გაცვლა მასტაბურად. გლობალური ბაზრების ფორმირება კიდევ უფრო ხელსაყრელი გახდა თანამედროვე მსოფლიოში, მაშინ როდესაც მრავალი წარმოება ცდილობს მოიპოვოს/შექმნას ახალი საქონელი და დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ბაზარზე.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გლობალიზაცია გავლენას ახდენს საერთაშორისო ინსტიტუტებზე. ისინი არიან ძალა, რომლებიც შეიქმნა მსოფლიოს სასარგებლოდ, რომლებიც მთელს მსოფლიოში ცდილობენ ზოგადსაკაცობრიო, სასიკეთო შეხედულებები დანერგონ. ესენია ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი, ახლოსაა ამ ჯგუფების კონცეფციებზე. ისინი არეგულირებენ განსხვავებულ ქვეყნებს შორის ურთიერთობას, იუსტიციის, ადამიანის ურთიერთობებისა და პოლიტიკური ფაქტორების საკითხებს. მათ შორისაა მსოფლიო სავაჭრო სისტემის გაერთიანება-2005 წლამდე 148 ქვეყანას შეადგენდა მსო-ში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძირითადი მიზანია მსოფლიოს მონეტარული სისტემის რეგულირება.

მნიშვნელოვანია გლობალიზაციის გავლენა დასაქმებაზე. გლობალიზაციის შემდეგ, გაოცება იყო, რომ სამუშაო განვითარება განვითარებად ქვეყნებში, განვითარებული და მოწინავე ქვეყნებისაგან. მაგრამ მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ ეს ცვლილება გამოიწვევს ქვეყნის გრძელვადიან სარგებელს. [45],

[45] International Journal of Business and Social Science Vol. 2 No. 23 Special Issue – December 2011

კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ გლობალიზაცია გამოიწვევს ვაკანსიების უთანასწორობასა და დაუცველობას. საბოლოო ჯამში იწვევს ცვლილებების შრომით სტრუქტურას და შრომის მოთხოვნებს.

გლობალიზაცია ასევე შეეხო ინდუსტრიულ სექტორს. ახლა გლობალიზაციის ამ ეპოქაში, მრეწველობის აქცენტია უცხოური საქონლის წარმოება და მთელს მსოფლიოში მომხმარებლებისთვის ხელის შეწყობა. მაგალითად, კოკა კოლა აწარმოებს სასმელებს, რომლებიც მისაღებია მსოფლიოსთვის მისაღები გემოვნების მიხედვით. ქვემოთ მოცემულ გრაფაში გვიჩვენებს, თუ როგორ იმოქმედა სხვადასხვა ინდუსტრიამ სხვადასხვა დროის ჰორიზონტზე.

ერთის მხრივ გლობალიზაციამ გამოიწვია ადამიანი, რომელიც უფრო დაინტერესებულია თავისი პლანეტის მიმართ, რომელშიც ის ცხოვრობს და ეკოლოგიას უწოდებს თავისი გარემოს ტექნოლოგიური მიღწევებით.

გლობალიზაციას გარდა განვითარებისა და დადებითი ასპექტებისა აქვს მრვალი უარყოფითი თანმდევი მოვლენა. მათ შორის არის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც მსოფლიო მასშტაბებისაა.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ ფინანსური კრიზისი ნიშნავს მნიშვნელოვან აქტივებზე ფასების დაცემას, ეკონომიკაში მას მოიხსენიებენ, როგორც დეფლაცია ფინანსურ ბაზარზე. ის იწვევს ბაზარზე არსებული წარმომადგენლების მასიურ გაკოტრებას. ფინანსური კრიზისი ძირითადად ხდება ისეთ აქტივებზე, როგორიცაა: ფასიანი ქაღალდები, ვალუტა, კრედიტები, დეპოზიტები და ამ ყველაფერზე ფასის ვარდნა იწვევს გავლენის მოხდენას მსოფლიო ეკონომიკაზე და აისახება კონკრეტული ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. [46]

ფინანსური კრიზისისათვის დამახასიათებელი მოვლენებია:

საპროცენტო განაკვეთის ზრდა. რაც გულისხმობს ინვესტიციის რისკის მქონე ორგანიზაციები გამოთქვამენ მზაობას გადაიხადონ მაღალი პროცენტი კრედიტის სანაცვლოდ. კრედიტის ანაზრაურება კი უნდა მოხდეს მიღებული მოგებიდან, ხოლო იმ

[46] მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები.,თბ. 2009 გვ 31

შემთხვევაში თუ ვერ მოახერხებენ მოგების აღებას მაშინ არ ექნებათ ვალდებულება კრედიტის დაფარვის.

ასეთი ტიპის კრედიტის სამომხმარებლო სეგმენტი მეტად დიდია ბაზარზე. ეს მეტყველებს სახსრების არ ქონაზე, რაც აფერხებს საქმიანობის აქტიურობას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითრებას.

ფინანსური ბაზრის რღვევა, ამას იწვევს საკრედიტო გარიგების ფასის დაცემა, რის შდეგადაც ხდება კრედიტორების მიერ დაკრედიტების მოცულობის შემცირება. ეს უარყოფითად მოქმედებს კერძო მეწარმეებზე და საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. [47]

გაურკვევლობის ზრდა ფინანასურ ბაზარზე, რაც იწვევს რისკის მაღალი შემცველობის კრედიტის გაცემას და სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვის შეგრძნებას. ამიტომ იძულებულნი არიან კრედიტორები შეამცირონ კრედიტი, რაც იწვევს ეკონომკურ კრიზის კონკრეტულ საწარმოში.

საბანკო პანიკა, მას გადამწყვეტი როლი აკისრია საბანკო სისტემაში. აქ არის ურთიერთ საწინააღმდეგო პოზიცია. ერთის მხრივ საბანკოს სისტემის გაკოტრებისგან არის გამოწვეული ფინანსური კრიზისი, ხოლო მოერეს მხრივ ბანკების გაკოტრებას იწვევს ფინანსური კრიზისი. [48]

ფინანსურ კრიზისზე საუბრისას მნიშვნელოვანია ითქვას, რომ მას წინ უსწრებს საფონდო ბირჟის მოშლა. საბანკო კრიზისის დროს ხდება კომერციული ბანკებიდან არსებული დეპოზიტების აღება, კრედიტების სწრაფი შემცირება, საპროცენტო განაკვეთის სწრაფი ზრდა, რასაც საბოლოოდ მოჰყვება ფინანსური კრიზისი.

თავის მხრივ ფინანსური კრიზისი შედგება სხვადასხვა სახეებისგან ეს შესაძლოა იყოს: საბანკო, სავალო და საკრედიტო. საბანკო კრიზისი ხასიათდება ბანკებიდან არსებული დეპოზიტების ერთიანად მოთხოვნა და გამოტანით, საკრედიტო განაკვეთების საგრძნობლად შემცირებით და ფინანსურის გაკოტრებით.

სავალო კრიზისი ხასიათდბა წარმოების მქონე მეწარმეების/კომპანიების ერთიანად გაკოტრება, რასაც მოყვება სახელმწიფოში კრიზისი.

---

[47] International Journal of Business and Social Science Vol. 2 No. 23 Special Issue – December 2011

[48] მექვაბიშვილი ე. „ თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“ ,თბ. 2016 აგვ 28

რაც შეეხება სავალუტი კრიზისს ეს ნიშნავს რომელიმე ქვეყნის ფულადი ერთეულის მკვეთრ ვარდნას სავალუტო ბირჟაზე. ფინანსური კრიზისის დროს შესაძლოა იყოს ერთ-ერთი ჩამოთვლილი კრიზისის გამომწვევი ფორმა, ან რამოდენიმე ერთად.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ გლობალიზაციის კრიზისის რამოდენიმე შემთხვევა. პირველად გლობალიზაციის ფინაანფური კრიზისი დაიწყო 1981 წელ და მისი გამომწვევი მიზეზი იყო მსოფლიო სავალო სისტემა. პირველად მექსიკის მთვარობამ განაცხადა უარი საბანკო ვალდებულებების შესრულებასა და ვალის გადახდაზე, მან ვერ შეძლო შეესრულებინა ფინანსური ვალდებულება.

მიზეზად კი დასახელდა ის, რომ ვალის მომსახურებისათვის საჭირო თანხა ჭარბობდა სხვა ქვეყნის ფულად ერთეულში გადაყვანილ მათ რესურსებს. მექსიკის შემდომ იგივენაირად მოიქცა მსოფლიოში მრვალი სხვა ქვეყანა. საჭიროდ იქნა მიჩნეული მოლაპარაკებები გაცემული საგარეო ვალების დესტრუქტურიზაციის შესახებ. კრედიტორები და დონორი ქვეყნები აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს, ასევე რეციპიენტ ქვეყნებს შორის.

პროცსებში ჩართული იყო და მონაწილეობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი. მან მოითხოვა ვალის მქონე ქვეყნებისაგან გაეტარებინათ მკაცრი ფინანსური პოლიტიკა, შეემცრირებინათ ქვეყანაში ხარჯები, ასევე მან აიღო პასუხისმგებლობა, იმის თაობაზე, რომ მისცემდა ფინანსურ კრიზისში მყოფ ქვეყნებს დაბალპროცენტიან კრედიტებს. [49]

ისინი ამ კრედიტებით შეძლებდნენ ქვეყნის ენერგო რესურსით, საკვები პროდუქტითა და სამრეწველო მასალით უზრუნველყოფას. აღნიშნული კრიზისი 80-წლებში შეეხო ჩილეს, პერუს და ურუგვაის. ეს კრიზისი ხასიათდებოდა სწრაფი გავრცელებით ქვეყნიდან გადადიოდა ქვეყანაზე, რასაც მოჰყვა ფინანსური კრიზისის გლობალიზაცია.

ფინანსური კრიზისის მსოფლიო გლობალიზაციაზე საუბრისას მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ნაშრომის ფარგლებში განგვეხილა უახლოესი ისტორიიდან მსოფლიო ფინანსური კრიზისი. 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი იყო ყველაზე მძიმე ფორმის 1929 წლის კრიზისის შემდეგ. აღნიშნული კრიზისის შედეგად ბევრმა

[49] მექვაბიშვილი ე. „ თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“ ,თბ. 2016 გვ 28

სუბიექტმა ბაზარზე ვერ შეძლო თავის გადარჩენა. დაზარალდა ძალინ ძლიერი და გავლენიანი ფინანსური ცენტრები. [50]

კრიზისი წარმოქმნა ამერიკის სავაჭრო ბაზარზე უძრავი ქონების სუბსტანდარტული იპოთეკური სესხების დაკრედიტების კრიზისის საფუძველზე. 2007 წლის მეორე ნახევარში ცნობილი გახდა სხვა ეკონომიკაზე, სუბსტანდარტულ დეპოზიტებზე პირდაპირი დამოკიდებულების, დეპოზიტების გარკვეული სახეობების მიმართ ნდობის დაკარგვისა და ფინანსურ ბაზრებზე ლიკვიდობის ამოწურვის გამო, რასაც ხელი შეუწყო ამ ქვეყნებში ადგილობრივი ფინანსური დისბალანსის არსებობამ.

მოცემული მომენტისათვის არ არსებობს ზუსტი განსაზღვრება რამ გამოიწვია დაზუსტებით გლობალური ეკონომიკური კრიზისი. მეცნიერების უმეტესობა თვლის, რომ პრობლემის სათავეს წარმოადგენდა რეგულირებისა და ზედამხედველობის სფერო. კრიზისი განპირობებული იყო, ორი ძირითადი ფაქტორით: პირველ ფაქტორად ითვლება ის, რომ 2001 წლიდან მოყოლებული ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ გატარებული შერბილებული მონეტარული პოლიტიკა იყო კრიზისის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორი.[51]

რაც შეეხება მეორე განმარტებას, იმის მიხედვით გლობალური ფინანსური დისბალანსის ზრდა და კავშირში მყოფი კაპიტალის წყაროების ინტენსივობის მატება წარმოადგენდა კრიზისის გამომწვევ მიზეზს და ამასთან მისი მსოფლიო მასშტაბით გავრცელების მნიშვნელოვან ფაქტორს.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კრიზისის სწრაფი და მწვავე გავრცელება გამოიწვია გაჟღერებულმა ორმა ფაქტორმა ერთდროულად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბოლო ეკონომიკური კრიზისი მსოფლიოში 2009-2012 წლებით თარიღდება. კრიზისის წარმოქმნა უკავშირდება ეკონომიკური განვითარების საერთო ციკლურ ხასიათს, საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის დისბალანსი, ისევე როგორც საკრედიტო ბაზრის დათრგუნვა და განსაკუთრებით მისი იპოთეკური კრიზისი - 1980-იანი წლების დასაწყისში და 2000-იანი წლების დასაწყისში საკრედიტო ექსპანსიის შედეგად მოხდა.

---

[50] ბაქრაძე. გ სამეცნიერო ჟურნალების სათატიათა კატალოგი 2014 ტომი 2,N2 5

[51] Еженедельный анализ отчетов СОТ на 13.10.2014

წინასწარი კრიზისის 2000 წელს, მოხმარების ბუმი შეინიშნებოდა, რომელსაც თან ახლავს სასაქონლო ფასების სტაბილური ზრდა. 2008 წლის იანვარში, ისტორიაში პირველად ნავთობის ფასები ბარელზე 100 დოლარამდე გადააჭარბა.

2008 წლის 6 ივნისს, ნავთობის ფასი ბარელზე 10 აშშ დოლარით გაიზარდა, ვოდემოტიმ აღნიშნა, რომ ნავთობის ფასი არ გაიზარდა 1970-იანი წლების კრიზისის შემდეგ. 2008 წლის 11 ივლისს WTI- ს ნავთობის ფასმა მიაღწია რეკორდულ მაჩვენებელს 147.27 დოლარამდე ბარელზე, რის შემდეგაც მკვეთრი ვარდნა 2008 წლის დეკემბრამდე გაგრძელდა, როდესაც ნავთობის ფასი ოთხჯერ შემცირდა 36 დოლარამდე ბარელზე.

2008 წელს მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკონომიკა საკრედიტო, კერძოდ იპოთეკური კრიზისით შევიდა. ჯორჯ სოროსი თავის წიგნში "ფინანსური ბაზრების ახალი პარადიგმა" (2008 წლის კურორტი) აღნიშნავს, რომ "2008 წლის კრიზისის დასაწყისად შეიძლება ოფიციალურად მიეწოდოს 2007 წლის აგვისტოში, როდესაც ცენტრალური ბანკები იძულებული გახდნენ ფინანსური ვალდებულებების აღება საბანკო სისტემის ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად ".

სახალხო დამცველის ანგარიშში აღინიშნა, რომ 2009 წლის აპრილის დასაწყისში, შემცირება გაძლიერდა, თუმცა სტაბილურობის ნიშნები დაფიქსირდა ზოგიერთ ინდუსტრიაში. 18 აპრილს სახლემწიფომ გამოაცხადა განისაზღვროს სახაზინო ფასიანი ქაღალდების ოდენობა 300,000 მილიარდ დოლარამდე, ასევე იპოთეკით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები 1.25 ტრილიონ დოლარად.

2008 წლის სექტემბერში ვითარება მკვეთრად გაუარესდა იპოთეკის ბაზარზე დაკავშირებული რამდენიმე ფინანსური ინსტიტუტის დაშლის შედეგად, როგორიცაა საინვესტიციო ბანკი ლეჰმან ძმები, იპოთეკური კომპანიები ფანი მეი, ფრედი მაკი და აიგი. ამ ორგანიზაციების შენახვის მიზნით, აშშ-ს მთავრობამ გარკვეული ზომები გაატარა და ასიათასობით დოლარი გადასცა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2008 და 2009 წლებში პოლიტიკოსებისა და ეკონომისტების უმრავლესობამ კრიზისის დასაწყისი იწინასწარმეტყველა. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საუბრობდნენ მისი გრძელვადიანი ხასიათის შესახებ.

კერძოდ, რუსმა ეკონომისტმა მიხეილ ხაზინმა 5-8 წლის კრიზისის ხანგრძლივობა შეაფასა. წინა ღრმა ფინანსური კრიზისის ფრთხილად შესწავლით, არსებობს მიზეზები,

რომ დასაქმების შემცირება კატასტროფულად ღრმა იყოს და აღდგენა ძალიან ნელი იქნება.[52]

[52] Еженедельный анализ отчетов СОТ на 13.10.2014

თავი III. საქართველოს თანამედროვე ეკონომიკა გლობალიზაციის პროცესში

3.1 საქართველოს სანტრანზიტო ფუნქციის განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პროცესში

ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ საქართელო მდებარეობს აზიისა და ევროპის გასაყარზე, ისტორიულად ის ყოველთვის წარმოადგენდა ინტერესის მქონე ტერიტორიას მეოზობელი ქვეყნებისათვის, ის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია სატრანზიტო თვალსაზრისით, რის გამოც საუკუნეების განმავლობაში დიდი ქვეყნები ინტერესდებოდნენ ამ ტერიტორიის დაპყრობით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი იყოს ტრანზიტული ქვეყანა და წარმოადგენდეს მნიშვნელოვან დამაკავშირებელ სატრანზიტო ქვეყანას მთელს კავკასიაში. თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ მოცემულ მომენტში სატრანზიტო სფეროში მას აქვს პრობლემები, რომლებიც ძრითადად მომდინარეობს პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობებიდან მეზობლელი ქვეყნების.

საქართველოს უპირატესობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია მისი უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც ქვეყნას ეხმარება გლობალურ პროექტებში აქტიურად მიიღოს მონაწილეობა. არსებობს რამდენიმე სატრანსპორტო-კომუნიკაციური და გლობალურ-ენერგეტიკული პროექტი, რომელიც საქართველოს, როგორც ევროპა-აზიას შორის სატრანზიტო ქვეყანას კიდევ უფრო გაეზრდება ფუნქცია. ესენია : [53]

- ბაქო-სუფსის მოქმედი ნავთობსადენი,
- ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი,
- ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს მომავალი სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც ევროპას ყაზახეთთან და ჩინეთთან აკავშირებს. სწორედ ამ მაგისტრალით გაეზრდება ფუნქცია ჩვენს ქვეყანას.

აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ ჩვენ მივიღებთ თანამედროვე "აბრეშუმის გზას", ამ მაგისტრალით ყარსში მყოფი ადამიანი ყაზახეთის გავლით

[53] თოქმაზაშვილი მ. „გლობალიზაცია და ბიზნესი" სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი 2016 N2

მოახერხებს შანხაისა და ჰონგკონგში ჩასვლას. ჩვენი თანამედროვე „აბრეშუმის გზა“ ე.წ. “მარმაის პროექტს” მიებმება, რომელიც გულისხმობს ბრიტანეთიდან წამოსულ ტრანსპორტს თურქეთის გავლით ჩინეთში ჩასვლის საშუალებას მისცემს. ამ მაგისტრალით ასევე შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად დაახლოებით 20 მლნ ტვირთის გადატანა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 2008 წლის აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას. არსებობდა იმის პერსპექტივა, რომ, როგორც ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანა საქართველოც , ჩართულიყო საუკუნის გლობალურ კრიზისში “ნაბუკოს” სახელწოდებით, თუმცა ექპერტები ვარაუდობენ, რომ ჩვენს ქვეყანას ამ მარშრუტმა შესაძლებელია გვერდი აუაროს.

გლობალიზაციის პროცესი განსაკუთრებული სიმწვავითა და წინააღმდეგობით გამოირჩევა, რადგან საქართველოში ჯერ კიდევ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცის პროცესი მიმდინარეობს. გლობალიზაციის ფუნდამენტურ პრინციპებთან შეთავსების გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, რასაც მსოფლიო პრაქტიკა ნათლად ადასტურებს.

აქედან გამომდინარე, სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესში ჩართვა, რაც თავის მხრივ გამოიწვევს არამხოლოდ ტრანსფორმაციას, არამედ ჩვენი ეკონომიკის სამომავლოდ განვითარებას. [54]

სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი ამოცანის ჩამოყალიბება : პირველ რიგში ეკონომიკისა და შემდეგ მთელი საზოგადოების განახლება იმ მოდელით, რომელიც გააერთიანებს უძველეს ტრადიციებს ინოვაციებთან.

მთელი რიგი სადისკუსიო და აქტუალური საკითხების გარკვევას მოითხოვს გლობალიზაციის საერთაშორისო და ეროვნული ასპექტების ურთიერთმიმართულების დიალექტიკა. ჩნდება უამრავი კითხვა, რაზეც პასუხის გაცემა აუცილებელია. კერძოდ :

- გლობალიზაციაში მონაწილეობის შედეგად არის თუ არა ქვეყანა მზად დათმოს გარკვეული ეროვნული სუვერენიტეტის ნაწილი,
- როგორი თანაფარდობაა გლობალიზაციიდან მიღებული სარგებლისა და ეროვნული სუვერენიტეტის დათმობილ ნაწილს შორის,

[54] თოქმაზაშვილი მ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“ სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი 2016 N2

- რა გზით შეიძლება ქვეყნის გლობალიზაციაში ჩართვა, რათა ეფექტიანი შედეგი მივიღოთ - დამოუკიდებლად, თუ რომელიმე გაერთიანებაში მონაწილეობის გზით.

საქართველო წლების განმავლობაში იყო ისეთი გაერთიანებების წევრი, როგორიცაა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ე.წ. "BSEC"), დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) და "სუამი". საქართველომ ცნობილი მიზეზების გამო გამოაცხადა დსთ-დან გამოსვლის შესახებ. დანარჩენი ორი ორგანიზაციის საქმიანობა კი ჩვენს ქვეყანას არ აძლევს ეკონომიკურ გლობალიზაციაში აქტიური ჩართვის შესაძლებლობას და არ არის ეფექტიანი.

საქართველო ევროპულ ხარისხზე ორიენტირებული ქვეყანაა და ჩვენი ევროპისაკენ სწრაფვის ისტორია უძველესი დროიდან მოდის. არსებული შესაძლებლობებიდან ყველაზე განვითარებად შეიძლება ჩაითვალოს გზა, რომელიც შეგვიყვანს ევროკავშირში და რომელიც იქნება მტკიცე გარანტია იმისა, რომ მივაღწევთ განვითარებულ ეკონომიკასა და ცხოვრების მაღალ დონეს. [55]

საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლების თავდაპირველ სტრატეგიულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ევროკავშირში ინტეგრაცია. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი თეორიული ბაზის მომზადება. სასურველად არის მიჩნეული მეგა პროექტის შემუშავება საქართველოს მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ეს პროექტი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ბლოკებს:

- პოლიტიკა (სახელწიფო, სამართალი, საზოგადოება),
- ეკონომიკა,
- სოციალური სფერო,
- კულტურა,
- ეროვნული საკითხი,
- რელიგია და ეკლესია,
- ავტონომიები.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საქართველოს ეკონომიკის

[55] ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო" 2014. გვ 7

ფუნქციონირება დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე
მიმდინარეობს .

საქართველომ ვერ შეძლო გამხდარიყო ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა, დღეის მონაცემებით სამომხმარებლო ბაზრის დაახლოებით 71% იმპორტირებულ საქონელს უკავია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მდიდარია მისი ეკონომიკური პოტენციალით, მიმზიდველი ბუნებით, მინერალური და მტკნარი წყლებით, ტურისტული მიზიდულობით და ა.შ. თუმცა მაინც მძიმე სოც-ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობაა. ეს კი მიგვითითებს, რომ მნიშვნელოვანია რაციონალურად და სწორად გავიაზროთ ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტი.

საქართველოს სანტრანზიტო სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებს. ახლა რაც შეეხება კონკრეტულ ნავსადგურს - ფოთის ნავსადგურის მოდერნიზაციაში აქტიურადაა ჩართული ევროკავშირი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ სარკინიგზო-საბორნე კომპლექსს, რომელიც ფოთის ნავსადგურს აკავშირებს უკრაინისა და ბულგარეთის ნავსადგურთან და უზრუნველყოფს ტვირთბრუნვას. [56]

ბათუმის ნავსადგური, რომელიც გამოირჩეოდა თავისი გეოსტრატეგიული უპირატესობებით მსოფლიოში, პირველად სწორედ ამ ნავსადგურიდან ნავთობის ტრანსპორტირება მოხდა ტანკერ "ამიურექსის" მიერ, რომლის პროექტის ავტორი იყო ნობელი. ბათუმის ნავსადგურის გეოსტრატეგიული უპირატესობა ის არის, რომ საზღვაო გზებით უკავშირდება მსოფლიოს ყველა საზღვაო ქვეყანას.

[56] ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ 2014. გვ 7

მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ საქართველოში სატრანზიტო ტვირთების ავტოტრანსპორტისა და რკინიგზის შედარებით მონაცემებს დიაგრამის სახით, რკინიგზის სატრანზიტო მოცულობა 2012-2017 წლებში შემცირდა 1.9 მლნ. ტონით. ავტოტრანსპორტირება კი გაიზარდა 1.1 მლნ. ტონით. თვალსაჩინოებისათვის იხ. დიაგრამა **N 3.1.1 ტვირთების გადაზიდვა რკინიგზისა და ავტოტრასპორტის მეშვეობით.**



[ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ 2014. გვ 10]

საქართველოს სატრანზიტო განვითარებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია საჰაერო სივრცესაც აკისრია, რომელიც 1988წ. გარდაიქმნა და მოდერნიზდა გაეროს განვითარების პროგრამის საფუძველზე. სატრანზიტო ფუნქციისთვის აუცილებელია ასევე

სატრასპორტო სივრცის ინტეგრაცია მსოფლიო სატრასპორტო ინფრასტრუქტურაში. საავტომობილო სფერო კი ერთ-ერთი ძირითადია.

გამოსაყოფია 2015 წელი, როდესაც რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების ფონზე საავტომობილო სატრანზიტო ნაკადის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს მიმართულებით გადმოერთო და საგრძნობლად გაიზარდა. 2016 წლიდან კონფლიქტის

დარეგულირების შემდგეგ სატრანზიტო ნაკადის რაოდენობა ისევ შემცირდა. თვალსაჩინოებისათვის იხილეთ დიაგრმა N 3.1.2 ტრანსპორტის მოძრაობა საქართველოს ტრანზიტის გავლით წლების იხედვით.[57]

[ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ 2014. გვ 10]

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტმა 2017 წელს, მინისტრთა კაბინეტთან ერთად, დაამტკიცა მთავრობის 2018-2020 წლებზე გათვლილი - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა“ - ის პროგრამა. საქართველოს



მთავრობა აპირებს მოცემულ წლებში სრულად აითვისოს ქვეყნის ტრანზიტული პოტენციალი და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სივრცით მოწყობა.

3.2 ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოში

XX სუკუნის მთავარ მოველნად დღევანდელი ტურიზმი გვევლინება. ტურიზმის შესახებ ფიქრი და მსჯელობა, ისტორიკოსების აზრით, ინგლისში დაიწყო როდესაც

[57] ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ 2014. გვ 7

ჩამოყალიბდა საშუალო ფენა და შემოიღეს გაცილებით იაფი გადააადგილების საშუალებები.

თანამედროვე ტურიზმი ხასიათდება, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი სექტორი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიოსა და რეგიონალურ ეკონომიკაში. ტურისტული ბიზნესი ანუ ტურიზმი სრულიად ეფუძნება ინდუსტრიული პროდუქტის გამოყენებას, რომელიც ქმნის ტურისტებისათვის მიმზიდველ პროდუქტს.

ტურისტი დამოკიდებულია კონკრეტული ადგილის სპეციფიკაზე, მომსახურებასა და საქონელზე რომელიც მომხარებელს საბოლოო სახით უნდა მიეწოდოს. კონკრეტულ რეგიონზე დაყრდნობით შეიძლება მოხდეს ისეთი პროდუქტის შექმნა, რომელიც სრულიად მორგებული იქნება შესაბამის აუდიტორიაზე. ტურიზმი ყოველთვის მოითხოვს მაღალ დონეს ინფრასტურქტურაში, მომსახურებასა და სერვისებში. ტურიზმიც მიეკუთვნება ეკონომიკის სფეროს , რომელიც სტიმულს აძლევს არამარტო ქვეყნის ეკონომიკას, არამედ ცალკეულ რეგიონს.[58]

ტურიზმის განვითარებისათთვის, რეგიონში, აუცილებელია თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისების განხილვა, რომელიც წინაპირობაა ამავე რეგიონის გლობალური ბაზრის ინტეგრირებისთვის.

ტურიზმის განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშნველოვან დადებით ზეგავლნას ახდენს უცხოური ვალუტის შემოტანა ქვეყანაში. ეს კი ხდება როგორც მომსახურების შეძენისას, ასევე ვალუტის გაცვლით ყოველდღიური საჭიროებიდან გამომდინარე.

იმისათვის, რომ მოცემული მომენტისათვის არსებული მდგომარეობის გაანალიზება მოხდეს ტურიზმის სფეროში მნიშვნელოვანია განხილულ იქნას სახელმწიფოს მიდგომა ამ სფეროს მიმართ და როლის განსაზღვრა ეკონომიკის განვითარების კუთხით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმიდან შემოსული თანხა განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. საქართველო არის მდიდარი ეკოლოგიური, კულტურული, ისტორიული,

[58] ერდორფი პ, შელდონი პ, ფეზენმაიერ დ. ,,ტურიზმის საინფორმაციო ტექნოლოგიები“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბ. 2015 წელი გვ. 232

გეოგრაფიული რესურსებით და აქვს პოტენციალი განავითაროს ტურიზმი, ისე, რომ შეძლოს სიღარიბის დაძლევა. ტურიზმის განვითარება გულისხმოს სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდას, ეროვნული ვალუტის გამყარებას, უცხოური ვალუტის შემოდინების ხარჯზე.

საქართველო მოცემული მომენტისათვის მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე საკმაოდ აქტიურ ზონას წარმოადგენს. მას აქვს უამრავი ტურისტული რესურსი სხვადასხვა სფეროების განსავითარებლად და ვიზიტზე შთაბეჭდილების მოხდენის თვალსაზრისით, ტურიზმის განვითარებაში საქართველოს ხელს უწყობს მდიდარი ისტორიული კულტურა,ხუროთმოძღვრული ძეგლები, რომელთაგანაც რამოდენიმე შესულია UNESCO-ს „მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში“.

სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში წლიდან წლამდე მატულობს ვიზიტორი ტურისტების რიცხვი, რაც განპირობებულია სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობით და ასევე სოციალური მეედის გამოყენებით. ტურისტულ სფეროში დასაქმებული ადამინები მუდმივად ცდილობენ გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები და მსოფლიოს სხვადაასხვა კუთხეში მიაწვდინონ სასურველ სეგმენტს ხმა ტურისტული ინტერესის გამოწვევის მიზნით. ამაზე მეტყველებს მარავლ სხვადასხვა სახის ელექტორნულ ვებ-გვერდებზე განთავსებული ქართული ტურისტული რეგიონების შესახებ ინფორმაცია და განთავსების საშუალებების სარეკლამო განცხადებები. [59]

მსოფლიო ბაზარზე ტურისტული კონკურენტუნარიანობის მიღწევა ისეთი ქვეყნებისათვის, როგრიცაა საქართველო შესაძლებელია მსოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ადეკვატური მცდელობისა და ინვესტიციების მოზიდვა-განხორციელების ხარჯზე. საჭიროა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებული პრობლემების აღმოფხვრა.

ტურისტული ინვესტიციები გრძელვადიანია და ის საჭიროებს მსოფლოში სხვადასხვა ქვეყნებთან მეგობრულ დამოკიდებულებას, ყველაზე მთავარი ტურისტისათვის არის განწყობა და გარემო, მას უნდა ჰქონდეს გარანტირებული უსაფრთხოება. ამისათვის საჭიროა სხვადასხვა სახის რეკლამები ქვეყნის გარეთ და

[59] მეტრეველი მ. ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარება თსუ. თბილისი 2007 გვ 25

ინფორმაციის გავრცელება საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის ღირსშესანიშნაობების შესახებ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლება მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს ქვეყანაში ტურისტების მოზიდვის მიზნით.

,,საქართველოს მთავრობის მიზანია განხორციელდეს გეგმა, რომელიც მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად და უნიკალური შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობად აქცევს. ხსენებული მოიზიდავს უფრო მაღალგადახდისუნარიან ტურისტებს ევროკავშირის ქვეყნებიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აზიიდან.“[60]

ეს არის ამონარიდი ,,საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-დან. აღნიშნული სტრატეგიის მთავარი მიზანია განახორციელოს საქართველოში ტურისტების მოზიდვა და ხელი შეუწყოს ადგილობრივ მოსახლეობას ტურისტული მომსახურების გაუმჯობესებაში . სტრატეგიის შემუშავება ხორცილდება სხვადასხვა სახელმწიფოს უწყებებს შორის თანამშრომლობით, მასში ასევე მონაწილეობას იღებენ ტურისტული და სატრანსპორტო ოპერატორები, ინვესტორები, დაცული ტერიტორიების და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრების მენეჯერები, სასტუმროების მესაკუთრეები, განათლების სპეციალისტები და საქართველოს საზოგადოების სხვა დაინტერესებული მხარეები.

პროექტი განხორციელდა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. მასში ძირითადად გრძელვადიანი პერსპექტივის პროექტები განიხილეს და შეჯერდნენ იმ აზრზე, რომ 2025 წლისათვის საქართველო კარგად იქნება ცნობილი, როგორც მაღალი დონის ტურისტული ზონა, თავისი განვითარებული ინფრასტრუქტურითა და საერთაშორისო სტანდარტებით მოწყობილი საკურორტო ზონებით. [61]

ტურისტი მიემგზავრება საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან კონკრეტული მიზნით, მოკლე დროში სხვა, უცხო ადგილზე საცხლოვრებლად, ამიტომ ის საჭიროებს უამრავ დეტალს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას.

---

[60] ,,საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“

[61] მეტრეველი მ. ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარება თსუ. თბილისი 2007 გვ 25

ტურიზმის სფეროს აუცლებელი კომპონენტები დიაგრამა N3.2.1 სახით იხ.

დიაგრმა N 3.2.1 ტურიზმის აუცილებელი კომპონენტები



ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ საქართველო ოდითგანვე წარმოადგენს ტურისტულად აქტიურ ზონას. ეს განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობოთ, კულტურული მემკვიდრეობით, ისტორიული ძეგლებით და მარავლფეროვანი ბუნებით. მას აქვს ისეთი რელიეფური მდგომარეობა, რომ ყველა სახის ტურიზმის მოყვარულთათვის მოიძებნება შესაბამისი ადგილი, სადაც შეძლებს დასვენებას.

საქართველო, როგორც უკვე ავღნიშნეთ ნაშრომის წინამდებარე თავებში წარმოადგენს გარდამავალი ეკონომიკის მოქნე ქვეყანას და მისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარება, დამატებითი ადგილების შექმნა, ტურისტების მოზიდვა უცხო ქვეყნებიდან და შემოდინებული უცხოური ვალუტის მეშვეობით ქვეყანაში არსებული ფულადი ერთეულის გამყარება საერთაშორისო სავალუტო ბირჟაზე. [62]

ნაშრომის თემიდან გამომდინარე მნიშვნელოვანად იქნა მიჩნეული განგვეხილა საქართველოს ტურისტული რესურსები:

ღვინის ტურიზმის რესურსი მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი საშუალება. საქართველო წარმოადგენს ღვინის სამშობლოს. ღვინისა და ვაზის კულტურა ოდითგანვე განვითარებულია. ღვინის ტურიზმის თვალსაზრისით საქართველოს უკვე მრავალი ქვეყნიდან სტუმრობენ, კახეთში ადგილზე ანხორციელებენ ღვინის დაგემოვნებას და ეცნობიან ტექნოლოგიებს. ამ სფეროს განვითარებაში დიდი როლი მიუძღვის საქართველოს ეკონიმიკისა და

[62] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

მდგრადი განვითარების სამინისტროს, სოფლის მეურნეების, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას და ღვინის ეროვნულ სააგენტოს. ისინი მუდმივად ცდილობენ მოიწვიონ სხვადასხვა ქვეყნებიდან ინვესტორები, შექმნან ტურისტული ინფრასტრუქტურა რეგინებში და მოაწყონ სანახაობები ტურისტთა მოზიდვის თვალსაზრისით.

კულტურული ძეგლებისა და რელიგიური ტურიზმის რესურსი აქვს საქართველოს, ის წარმოადგენს ქვეყანას რომლის ისტორიული ძეგლები შესულია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში. ესენია ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, გელათის ტაძარი, ვარძია და ა.შ. საქართველო არის ქვეყანა სადაც დაკრძალულია ქრისტეს პერანგი და ბევრი ტურისტი სწორედ რელიგიური მიზნით სტუმრობს საქართველოს.

სამთო-სათხილამურო ზამთრის საკურორტო ზონები საქართველოში, როგორც ტურისტული რეგიონი განვითარებულია. ბაკურიანის, გუდაურის, სვანეთის სამთო-სათხილამურო კურორტები სეზონურად უმარავ ტურისტს მასპინძლობს. მოწყობილია ინფრასტრუქტურა, სათხილამურო გზები და საბაგიროები. კურორტებზე ასევე განთავსებულია სასტუმროები, როგორც მაღალი დონის ისე საოჯახო და ჰოსტელის ტიპის სასტუმროები. საკრუიზო ტურიზმისათვის საქართველოს გააჩნია აღმოსავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლი, რომელიც გამოირჩევა თავისი სილამაზით, აქვე მდებარეობს ბათუმის ბოტანიკური ბაღი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ეკო და დაცული ტერიტორიების ინტერესის სფეროს. სანაპირო ზოლი არის გაშენებული და აქვს რესურსი მიიღოს ტურის გარკვეული ნაკადი.

მასზე განთვასებულია, როგორც მსოფლიო ბრენდის მაღალი დონის სასტუმროები, როგორიცაა „ Hilton”-ი, “Redison”-ი და ა.შ. გარდა აღნიშნული სასტუმროების, არის შედარებით დაბალი მომსახურების მქონე სასტუმროები, საოჯახო სასტუმროები და კერძო სახლების გაქირავება. სანაპირო ზოლში აშენდა ტურისტული მნიშვნელობის მქონე პარკი „მინიატურული საქართველო“. [63]

პარკში წარმოდგენილია საქართველოს თითოეული კუთხე თავისი ღირსშესანიშნაობებით, დამთვარიელებლებს ეძლევა საშუალება ნახონ და გაეცნონ

[63] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ყველა კუთხეს. მინიატურები არის ძალიან მაღალ დონეზე შესრულებული და იწვევს ინტერესს/სურვილს კონკრეტული კუთხის მონახულების, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ტურისტული ინტერესის გამძაფრებას საქართველოსადმი.

ეკო ტურიზმი ხასიათდება ინტერესით დაცული ტერიტორიებისა და რეკრეაციული ზონების მხრივ. ამ კუთხითაც საქართველო მდიდარ ქვეყანას წარმოადგენს მის ტერიტორიაზე 14 სახელმწიფო ნაკრძალია, 11 ეროვნული პარკი, 41 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ტერიტორია. მათი მონახულების შემთხვევაში ტურისტს შეუძლია განთავსდეს საოჯახო ტიპის სასტუმროში სადაც მომსახურების მთავარ კომპონენტებს შესთავაზებენ, ეს არის საკვები, სუფთა საწოლი და სველი წერტილები. ზოგიერთი ეროვნული პარკის მიმდებარედ არის მსოფლიო ბრენდის სასტუმროები, როგორიცაა „ჰილტონი“ ბათუმში, „ქრაუნ პლაზა“ ბორჯომში და. ა. შ. მაგრამ უმეტესწილად საოჯახო სასტუმროები და ადგილობრივი მაცხოვრებლების მცირე ტურისტული ბიზნესის მქონე მეწარმეები ახდენენ ტურისტთა მომსახურებას.

იმისათვის, რომ ტურისტული რესურსები მომარაგდეს საჭირო ინფრასტრუქტურით, საჭიროა ხარისხიანი სასტუმროების, რესტორნების შეთავაზება და წინასწარ დაგეგმილი ტურისტული ტურების შერჩევა, რაც საშუალებას მოგვცემს გაიზარდოს ტურისტული მიმოსვლა.

გარდა ზემოთ აღნიშნული პუნქტებისა, საჭიროა ტურისტულ სფეროში მომუშავე ადამიანებმა აიმაღლონ კვალიფიკაცია და ძირ-ფესვიანად შეისწავლონ სერვისები, რომლებსაც ტურისტებს შესთავაზებენ.

საქართველო მიუხედავად თავისი პატარა ფართობისა, გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ტურისტს გააცნოს სხვა მრავალი რესურსი. ეს ნიშნავს იმას, რომ ერთი რაიმე კონკრეტულით დაინტერესებულ ტურისტს აქვს სხვადასხვა ვარიანტი ესტუმროს ახლო მდებარე რეგიონებს, მაგალითად: თუ ტურისტი კახეთს ესტუმრა ღვინის დეგუსტაციისთვის, მევენახეობისა და მებაღეობის გასაცნობად, მას აქვს შესაძლებლობა კახეთში მოინახულოს კულტურული ძეგლები, დაესწროს ეროვნული წარმოების პროდუქტების გამოფენა-გაყიდვას.

ეს საშუალებას მისცემს ადგილობრივებს გაყიდონ თავიანთი პროდუქტი. ასევე ტურისტს უნდა შევთავაზოთ სხვა ალტერნატიული გზებიც, როგორიცაა ლაგოდეხის ნაკრძალში სტუმრობა, სათევზაოდ წასვლა და მრავალი სხვა.

თუ ტურისტი ჩამოსულია საზღვაო-საკურორტო ზონაში მაგალითად : მთიან აჭარაში ან გურიაში, მას შეუძლია მოინახულოს ის ულამაზესი ხედები, რომელიც გომის მთიდან იშლება. დაუვიწყარი პეიზაჟები საშუალებას გვაძლებს ტურისტებს სხვა მრავალი რესურსი შევთავაზოთ.

თუმცა მიუხედავად ამ სილამაზისა, ადგილზე არ არის ტურისტული ინფრასტუქტურა, კვების ობიექტები, ელექტო ენერგია, საპირფარეშოები. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების არ არსებობის მიუხედავად აქ ღამის გათევა სასტუმროში განთავსების თანხას უტოლდება. [64]

დაზუსტებულია, რომ საქართველოს ყველა რეგიონში არსებობს ტურისტული რესურსი, რომლებსაც სჭირდება განვითარება, ახალი იდეების მოფიქრება, მოსახლეობის გადამზადება და შესაბამისად ამ სფეროში დასაქმება. მსგავსი ქმედებები ჩვენს ქვეყანას მისცემს საშუალებას გაზარდოს სამუშაო ადგილები, გააძლიეროს ეკონომიკა და ეროვნული ვალუტა დაასტაბილუროს.

სამაგისტრო თემიდან გამომდინარე პრიორიტეტად მივიჩნიე საქართველოს ტურისტული ბაზრის მიმოხილვა. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ზემოთ აღნიშნულ პირობებს დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით კი ეს ეხება საზღვაო-საკურორტო და სამთო-სათხილამურო ზონებს.

საქართველოში ფუნქციონირებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რომელიც ცდილობს გააუმჯობესოს ტურისტული რესურსი და გახადოს კონკურენტუნარიანი თავის სფეროში. სწორედ ამ ადმინისტრაციის მიზანია ტურისტების მოზიდვა და ინვესტიციების განხორციელება.

წლების მიხედვით გამოვლინდა სტატისტიკა, რომელიც ცხადყოფს, რომ საქართველოში ტურისტების რაოდენობა მატულობს. თვალსაჩინოებისთვის იხილეთ გრაფიკი N3. 2. 2

[64] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გრაფიკი N 3.2.2 2011-2018 წლების მიხედვით ტურისტი ვიზიტორების სტატისტიკა



[საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია]

მოცემული დიაგრამა ცხადყოფს, რომ ბოლო რამდენიმე წელში ჩვენს ქვეყანაში ტურისტების შემოდინება იზრდება, რაც რათქმაუნდა ტურისტური სერვისის გაუმჯობესებისა და ტურისტული ბაზრის პოლიტიკის დამსახურებაა.

ნაშრომში განხილულმა მასალამ და მოცემულმა დიაგრამამ იმის საშუალება მოგვცა, რომ გამოგვეტანა დასკვნა: საქართველო ყოველ წელს უფრო აქტუალური და მიმზიდველი ხდება.

ტურისტები საქართველოს სტუმრობენ სხვადასხვა მიზნით. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნდა კვლევა, სადაც ნათლად ჩანს, რომ ტურისტების დიდი ნაწილი გასართობად და დასასვენებლად ჩამოდის. მეტი თვალსაჩინოებისათვის იხილეთ გრაფიკი N3.2.3

გრაფიკი N 3.2.3 ტურისტული ვიზიტის მიზანი



[საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია]

ზემოთ მოცემული სტატისტიკა მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყნის აქტუალურ სფეროს ტურისტულ ბაზარზე წარმოადგენს გართობა, ისტორიული ადგილების მონახულება. იმისათვის, რომ შეგვეძლოს ტურისტების მიღება, მათი დაბინავება და მომსახურეობის შეთავაზება, საჭიროა ინვესტიციების ჩადება და მომსახურე ობიექტების ჩადგმა.

ბოლო წლების მონაცემების ანალიზმა აშკარა გახადა, რომ ვიზიტორების ნაკადი მზარდია. თავის მხრივ ამ სფეროში დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობს წინ წაწიოს ტურისტული მომსახურება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესი ტურიზმის სფეროში მეტად საყურადღებოა ეკონომიკის განვითარებისთვის. ტურისტების მიმოსვლამ და შემოსავლების ზრდამ ამ სფეროში იმატა. ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში ტურიზმს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. ტურიზმის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის და ბიზნესის, ასევე განათლების სფეროებისათვის. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის განვითარებას ჭირდება ხელშეწყობა, რადგანაც ტურისტული მომსახურების მაღალი მაჩვენებელი, ნიშნავს

ძლიერ ეკონომიკას. მეტ სამუშაო ადგილს, პოპულარობასა და კონკურენტუნარიანობას ქვეყნის საგარეო სივრცეში.

3.3 „ახალი ეკონომიკის“ ჩამოყალიბების პერსპექტივები და გამოწვევები

ახალი ეკონომიკის ჩამოყალიბება განაპირობა ონოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებამ. ტერმინი „ინოვაცია“ თავდაპირველად ხმარებაში შემოიტანა ი. შუმპეტერმა და შეეცადა ერთმანეთთან ლოგიკურად დაეკავშირებინა იმ დროინდელი ცვლილებები ეკონომიკაში, რომლებიც გამოწვეული იყო ინოვაციებით. ინოვაციები გულისხმობდა ახალ გამოგონებებს და მათი საშუალებით შესაძლებელი იყო კრიზისული სიტუაციების დაძლევა. XX საუკუნეში ი. შუმპეტერმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ ტექნიკური ინოვაციების მეშვეობით შესაძლებელია მაღალი მოგების მიღება ეკონომიკის სფეროში.

„ახალი ეკონონიკის“ ჩამოყალიბება ყოფილ პოსტსოციალურ ქვეყნებში იწყება 2000 წლის შემდეგ. დამოუკიდებლობის მოპოვების და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე ჩნდება ტერმინი ინოვაციები, ტექნოლოგიების განვითარება, ინვესტიციები და ა.შ. დროთა განმავლობაში ქვეყნის ხელისუფლება და საზოგადოება მივიდა იმ აზრამდე, რომ ქვყნის გადარჩენის და ეკონომიკის განვითარების ერთადერთი საშუალება თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება, ინვესტიციების მოზიდვა და აქტიური მონაწილეობის მიღებაა მსოფლიო ეკონომიკაში. [65]

„ახალი ეკონმიკის“ ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოში უკავშირდება 2003 წელს მომხდარ რევოლუციას რის შემდეგადაც ქვეყანაში განხორციელდა გარკვეული რეფორმები და ხელი შეეწყო ქვეყნაში ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვას, კერძოდ როგორიცაა კომპიუტერიზაცია, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და მასში მოსახლეობის უმეტესობის ჩართვა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ინფორმაციის გავრცლეება და მეტი ცოდნის მიღება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შაძლოა ითქვას, რომ ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ და გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა

[65] ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“ N4 თბ. 2017 გვ 13

როგორც ადამინების ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ დონეზე და ცხოვრების პირობების შეცვლაზე ისე ზოგადად ეკონომიკაზე. მოხდა ფუნდამენტალური ცვლიელებები ყველა კუთხით. კონკურენციამ ტექნოლოგიების სფეროში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის განვითარებას, რამაც განაპირობა თავის მხრივ პროცესის გლობალიზაცია და მთელი მსოფლიოს ეკონომიკის ერთ სისტემაში გაერთიანება.

მნიშვნელოვანია „ახალ ეკონომიკაზე“ საუბრისას განისაზღვროს თუ რაოდენ დიდია ტექნლოგიების განვითარების თვალსაზირისით ინტერნეტის და მასში ჩართული ტექნიკის როლი, მსოფლიოს ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით. ნებისმერ ადგილას შესაძლებელია მოიძიო და მიაწვდინო ხმა ადამინებს, აუდიტორიას. მიიღო და გასცე ხვადასხვა სახის ცოდნა.

სწორედ ამიტომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში „ახალი ეკონომიკის“ საშუალებები ითვლება პრიორიტეტულად ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით და მიმდინარეობს ხელშეწყობა მათი განვითარებისათვის რათა არ ჩამორჩნენ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტი ქვეყნები ერთმანეთს. [66]

ამ მხრივ ლიდერობით გამოირჩევიან აშშ, ბრიტანეთი, იაპონია, გერმანია ... ისინი გამოირჩევიან "ციფრული განვითარების დღის წესრიგის" გრძელვადიან პერიოდში და პრიორიტეტების უწყვეტობით - ძირითადი ინფორმაციისა და კომუნიკაციის ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით კოორდინირებული პოლიტიკით ამ სფეროში და პროგრამებში, რომლებიც მხარს უჭერენ ციფრული ტექნოლოგიების გავრცელებას ბიზნეს საქმიანობისა და სოციალური სფეროს მოდელების ტრანსფორმაციის განვითარებაში.

ახალმა ტექნოლოგიებმა ახალი ციფრული ეპოქა შექმნა. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა ზრდამ კომპანიებისა და მომხმარებლების ურთიერთობის სრულიად ახალი კავშირები ჩამოაყალიბა. დღეს, უფრო მეტად, ვიდრე წინათ, ყველა და ყველაფერი მჭიდროდ დაკავშირებულია.

[66] ბაქრაძე გ. „ციფრული ეკონომიკა-კვლევების გეგმა“ ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსისტეტი 2017 წ. გვ 2

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ცხოვრება ინტერნეტის გარეშე წარმოუდგენელია. იგი ჩვენი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. კომპიუტერებითა და უახლესი ტექნოლოგიებით შესაძლებელია უზარმაზარი ინფორმაციის დამუშავება, და მაინც, ოპერატიული და საიმედო ინფორმაციის ნაკლებობა აშკარად იგრძნობა. ინტერნეტი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის აბსოლუტურად დამოუკიდებელი მოვლენაა მის მონაწილეთა ქცევის საკუთარი წესებით, მიწოდებისა და ანგარიშსწორების მექანიზმებით, რომლებიც გლობალური საინფორმაციო ქსელის ფუნქციონირების პრინციპებიდან გამომდინარეობს.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ თანამედროვე კომპიუტერულმა საშუალებებმა შეცვალა მსოფლიოს სურათი საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში. მსოფლიოს ინტერნეტიზაციამ გამოიწვია სხვადასხვა სახის მომსახურების გამარტივება, მათ შორის ანგარიშწორების მიზნით.

ეკონომიკური საქმიანობა, როგორიცაა ელექტრონული კომერცია და ელექტრონული ვაჭრობა. ახალ ათასწლეულში ელექტრონულმა ბაზარმა შეძლო მსოფლიო ეკონომიკის რეორგანიზაცია, ჩამოაყალიბა ახლებური ცივილიზაცია, რამაც კაცობრიობის პროგრესი და მსოფლიო ქვეყნების განვითარება განაპირობა. ბოლო წლების მანძილზე მსოფლიო ეკონომიკის სფერო სიახლეებმა, ინოვაციებმა, ტექნოლოგიების დანერგვამ და განვითარებამ შეცვალა.67

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით მოხმარების სტრუქტურამ ცვლილებები განიცადა, გადავიდა მომსახურების დიდი ნაწილი ციფრულ პლატფორმაზე. ყველასთვის ცნობილია ინტერნეტ-გიგანტები რითეილ გაყიდვების (Amazon), მგზავრთა გადაზიდვების (Uber), დროებითი საცხოვრებელი (Airbnb), უნდა აღინიშნოს, რომ ციფრულ საფუძვლებზე გადასული კომპანიების ძირითადი ნაწილი გაცილებით მცირე მასშტაბისაა და ისინი ხშირად სრულიად მოულოდნელ სფეროებში გვხვდება.

ციფრული ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ვირტუალური ან ე.წ. კრიპტოვალუტები, რომელთა რაოდენობა და საბაზრო კაპიტალიზაცია მკვეთრად გაიზარდა ბოლო რამდენიმე წილს განმავლობაში. ციფრული ეკონომიკის ზრდა

---

[67] ბაქრაძე გ. „ციფრული ეკონომიკა-კვლევების გეგმა“ ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსისტეტი 2017 წ. გვ 2

საქართველოს მაგალითზეც კარგად ჩანს და მეტად აქტუალურ თემას წარმოადგენს ის გარკვეული პერიოდის მანძილზე.

მომსახურების სფერო ქვეყანაში სულ უფრო და უფრო დიდი მასშტაბით გადადის ციფრულ რეჟიმში და ამგვარ კომპანიებს შორის არის როგორც ქართული, ისე უცხოური ფირმები. საკითხის აქტუალურობა განსაკუთრებით მასშტაბურია ჩვენ ქვეყანაში ბიტკოინების მაინინგი - 2016 წლის მონაცემებით, ბიტკოინების მაინინგის 15% საქართველოში მიმდინარეობდა.[68]

საქართველოში ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბებამ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შექმნამ, ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების დამკვიდრებამ, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენათა გამო, ძალიან დაიგვიანა. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ განვითარების დონით, ქართული ელექტრონული ბაზარი მსოფლიო მასშტაბებს შესამჩნევად ჩამოუვარდება.

„ ახალ ეკონომიკაზე“ საუბრისას მნიშვნელოვანია ითქვას, რომ მსოფლიო ბაზრის გლობალიზაციამ გამოიწვია მარკეტინგული მეთოდების ღრმა ტრანსფორმაცია და საეთაშორისო მარკეტინგული ქსელების ჩამოყალიბება, რომელთა საქმიანობაც ინდივიდუალური ქვეყნების იურისდიქციის მიღმაა.

ინტერნეტის ვირტუალური გარემო საშუალებას იძლევა წაშალონ ტრადიციული ვაჭრობის შეზღუდვები, რომლებიც დაკავშირებულია მონაწილეთა გეოგრაფიულ მანძილზე ელექტრონულ გარიგებებში და მთლიანად ავტომატიზირდება გაყიდვების პროცესში. ეს არ იმოქმედებს სამომხმარებლო საქონლის ხელშეწყობაზე World wide Web-ს, წარმოების დაკონფიგურირება და მორგება, ყურადღება გამახვილებულია მომხმარებელთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და საინფორმაციო ტექნოლოგიების პრიორიტეტებზე.

არსებული ორგანიზაციული ფუნქციების გამოყოფით პროდუქციის წარმოება, პირდაპირი წარმოება და ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც ამჟამად წარმოადგენს სხვადასხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობას, სხვადასხვა ინსტიტუციონალური ურთიერთობების მონაწილეებთან, ინტერნეტისა და

[68] ბაქრაძე გ. „ციფრული ეკონომიკა-კვლევების გეგმა“ ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსისტეტი 2017 წ. გვ 2

კომპიუტერული ტექნოლოგიების ვირტუალური გარემო არღვევს ზოგად ეკონომიკურ ნიმუშს, რომელიც ფორმულირებულია R. Coase-ის მიერ. მისი ფორმულის მიხედვით შიდა კომპანიების ხარჯები ნაკლებია, ვიდრე მსგავსი უფლებამოსილებების დელეგირება გარე აღმასრულებლებთან.

გლობალური სამომხმარებლო ბაზრების გარიგების ხარჯების მკვეთრი შემცირების გამო ფუნდამენტურად ახალი ინფრასტრუქტურა იქმნება. სტრუქტურა, რომელიც ქმნის ელექტრონული კომერციის მარკეტინგულ გარემოს. ეს ინფრასტრუქტურა მოიცავს ყველა სახის ფორმასა და ურთიერთობებს საქონლის განაწილებით, გადახდების ორგანიზებასა და ვაჭრობის უზრუნველყოფას, მომსახურებას, სპეციალიზებული პროვაიდერების ფენის ჩამოყალიბებას. შედეგად, მარკეტინგის შესაძლებლობები და სუბიექტების კონკურენტუნარიანობა ელექტრონული კომერციის დონე პირდაპირ კავშირშია ქსელის ეკონომიკის ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხთან.

მუდმივად ხდება ცვლილებები, რომლებიც პირდაპირ მოქმედებს საბაზრო პირობებზე, ასეთია მარკეტინგული საქმიანობა. ამიტომ, ტრანსფორმაცია ხდება მარკეტინგული ქსელის. [69]

უნდა აღინისნოს, რომ კონკურენტუნარიანია ის კომპანია, რომელიც გამოიყენებს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებს. მისი გამოყენებით გლობალური უპირატესობა აქვს ქსელურ ეკონომიკაში, როდესაც წლების განმავლობაში განვითარებადი მარკეტინგის საშუალებებს იყენებს ფართო მასებზე.

„ახალი ეკონომიკა“ გულისხმობს ინვესტიციების მოზიდვას, ინპორტ-ექსპორტს და აქტიურ თანაშრომლობას სხვადასხვა ქვეყნებთან ახალი ბაზრების ასათვისებლად და ადგილის დასამკვიდრებლად. ამისათვის კი აუცილებელია ტექნოლოგიების ფლობა და ცოდნა. მეტად მომგებიანია და ხარისხიანი პროდუქცია, რომელიც ახალი ტეექნოლოგიების მეშეობით არის შექმნილი. ტექნოლოგიების განვითარება ფინანსურ საქმიანობაში ამცირებს დროს და ადამიანური რესურსის რაოდენობას. ის რაც ადრე კეთდებოდა ადამიანის ხელით და მოითხოვდა დიდ ძალისხმევას, დღეს შესაძლებელია

[69] აბულაძე რ. ელექტრონული მარკეტინგის პრობლები და პერსპექტივები საქართველოში თბ. 2008 გვ 34

მეტად უფრო მოკლე დროში შესრულდეს ტექნოლოგიების მეშვეობით. ასე მარტივია საქმიანი კავშირის დამყარება საინფორმაციო და კავშირგაბმულობის სისტემების მეშვეობით, რაც ძალზედ ამარტივებს საჭირო ინფორმაციის გავრცლებას, მიღებას და დაკავშირებას, რაც ადრე შეუძლებელიც კი იყო. უფრო მარტივი გახდა საქონლის ტრანპორტირება დროის ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც ხელი შეუწყო გადაზიდვებს.

აქედან გამომდინარე, დღეს ქვეყნები, რომლებიც მიზნად ისახავენ ელექტრონული კომერციის განაწილებას ინფრასტრუქტურის მიხედვით, ინოვაციური განვითარების საფუძველზე, ყველაზე დიდი კონკურენტუნარიანი უპირატესობა აქვთ.[70]

მოცემული მომენტისათვის, საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლის და ის გარკვეული დოზით ჩართულია მსოფლიო ეკონომიკაში. განსაკუთრებით გამოკვეთლია ღვინის ექსპორტი და ქვეყანაში ტურიზმის განვითრების ტემპი. არსებული მონაცემების მიხედვით საქართველოში განხორციელებული პირდაპირი და უცხოური ივესტიციები წლების მიხედვით მუდმივად იზრდება. მეტი თვალსაჩინოებისათვის იხილეთ გრაფიკი 2.3.1

გრაფიკი 2.3.1 საქართველოში განხორციელებული პირდაპირი და უცხოური ინვესტიციები



[www.geostat.ge]

[70] აბულაძე რ. ელექტრონული მარკეტინგის პრობლები და პერსპექტივები საქართველოში თბ. 2008 გვ 34

აღნიშნულმა სტატისტიკურმა მონაცემებმა ცხადყო, რომ საქართველოში 1996 წლიდან იწყება ინვესტიციების ძალიან მცირე დოზით განხორცილება და შემდეგში მისი განვითარება უკავშირდება ცვლილებებს ეკონომიკური თვალსაზრისით. სახელმწიფოში ყალიბდება საგადასახადო სისტემა. ქვეყანა ხდება ნაკლებ სარისკო საფინანსო საქმიანობის თვალსაზრისით და იწყება ეკონომიკასთან ერთად ინვესტირების განხორციელება.

საქართველო საინტერესო ხდება უცხო ქვეყნის წარმომადგენელი კომპანიებისათვის და იწყება ქვეყანაში ინვესტირების შემოდინება. ინვესტიციების განხორციელება ქვეყნების მიხედვით. იხილეთ გრაფიკი 2.3.2.

გრაფიკი 2.3.2 უმსხვილესი პირდაპირი ივესტორი ქვეყნები 2018 წელი



[www.geostat.ge]

აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით საქართველოში ინვესტირებას ახდენენ მსოფლიოს დიდი ქვეყნები, რომლებიც მაღალგანვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენენ. ეს ფაქტი კი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში ინვესტიციებისათვის არის სასურველი გარემო.

მნიშვნელოვანია საერთო ინვესტიციების რაოდენობა წლების მიხედვით. თვალსაჩინოებისათვის იხილეთ ცხრილი N3.3. 1

ცხრილი 3.3.1 განხორციელებული ინვესტიციების საერთო მაჩვენებელი 1016-2018 წლებში

წელი	2016	2017	2018
სააქციო კაპიტალი	1,025,354,6	522,222,5	1,232,447
რეინვესტიცია	20,059,8	1,178,856,5	599,867
ვადებულებები	-666,591,6	112,872,0	558,812
ჯამი	378,832,8	20,788,7	-26,231

[www.geostat.ge]

კვლევამ ცხადყო, რომ ინვესტიციები დამოკდიებულია ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტაბულირობაზე. 1996-2002 წლებში საქართველოში ინვესტიციები ძალინ დაბალი მაჩვენებლით ხორციელდება, ხოლო მას შემდეგ რაც ხდება ქვეყანაში ეკონომიკის განვითარება და სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე ზრუნვა ინვესტიციების რაოდენობა მატულობს. [71]

მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ 2009 წლის მსოფლიო კრიზისის დროს 56%-ით შემცირდა. 2010-2011 წლებში იზრდებოდა, მაგრამ 2012 წლიდან მცირედი შემცირების ტენდენცია აქვს. 2007 წელს მსოფლიო ინვესტიციების ტრენდს საქართველოც არ ჩამორჩა და ქვეყანაში ინვესტიციების რეკორდული მოცულობა - 2 მილიარდი დოლარი შემოვიდა.

რუსეთთან ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო, 2008 წლის ბოლოდან ინვესტიციებმა იკლო და 2009 წელს 658 მლნ დოლარამდე შემცირდა.

2010 წლიდან ინვესტიციებს ზრდის ტენდენცია აქვს და 2008-2016 წლების მაქსიმალურ მაჩვენებელს - 1.8 მილიარდ დოლარს - 2014 წელს მიაღწია.

2014 წლიდან ინვესტიციების ზრდა მნიშვნელოვნად უკავშირდება ბუნებრივი აირის ახალი მილსადენის „შაჰდენიზ 2“-ის მშენებლობას, რომლის ფარგლებში საქართველოში მილიარდ დოლარზე მეტი შემოვიდა.

[71] forbes.ge

ყველაზე მაღალ ნიშნულს - 11.4%-ს 2016 წელს მიაღწია. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, ლარის გაუფასურების გამო, 2015-2016 წლებში დოლარში გამოსახული მშპ შემცირდა და ამან ხელი შეუწყო ინვესტიციებთან ფარდობის ზრდას.

ყველაზე მეტი ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა - 3.2 მილიარდი დოლარი. ეს სექტორი პირველ ადგილს მილსადენ ტრანსპორტში ჩადებული ინვესტიციების გამო იკავებს. მეორე ადგილზე ენერგეტიკაა 1.8 მილიარდი დოლარით. ენერგეტიკის სექტორში ჩადებული ინვესტიციები ძირითადად ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას უკავშირდება. 1997-2018 წლებში ყველაზე ცოტა ინვესტიცია სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელდა - 134 მლნ დოლარი (წლიურად საშუალოდ 6.7 მლნ დოლარი). [72]

დასკვინის სახით შესაძლოა აღინიშნოს, რომ საქართველო წარმოადგენს გარდამავალი პოლიტიკის რეფორმის პროცესში მყოფ ქვეყანას, რომლის ეკონომიკის მდგრადობისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც გარე ინვესტიციებს, რომლებიც ქვეყანაში შემოედინება ისე ქვეყნის შიდა ინვესტიციებს, რომლებსაც უფრო მცირე ზომის კომპანიები ანხორციელებენ სხვადასხვა წარმოებაში.

ინვესტიციას დიდი როლი უკავია ეკონომიკის განვითარებაში და ეკონომიკა თავის მხრივ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალური საკითხების განმსაზღვრელი ფაქტორია. რაც უფრო მდგრადი ეკონომიკა აქვს ქვეყანას და მაღალბიუჯეტიანია მით მეტია ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეების კეთილდღეობის მაჩვენებელი და ცხოვრების პირობები.

უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციების ეფექტურობა დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ დაწესებულ რეგულაციებზე, როგორი საინვესტიციო გარემოა. საინვესტიციო გარემოს ჭირდება შექმნა იმისათვის რომ მოიზიდოს ინვესტორები და შეუქმნას წარმოებისა და ფულადი ბრუნვის გაუმჯობესების პირობები, რომლის შემთხვევაში სარგებლობას და წინსვლას ანხორციელებს არა მხოლოდ ინვესტორი კომპანია, არამედ ხდება ეკონომიკის განვითარება, ბიუჯეტში თანხის შედინება და

[72] forbes.ge

სამუშაო ადგილების წარმოშობა. ყოველივე ეს კი დადებითად აისახება გარემოზე და აუმჯობესებს არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ნაშრომში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს.

უცხოური ინვესტიციებისადმი ქვეყნის მზადყოფნას და ინტერესის უზრუნველყოფა ხდება მუდმივად. ძალიან ბევრი ინვესტიციები ხორციელდება ტურზმისა და სამშენებლო კომპანიების მხრივ, ისინი ძირითადად წამროადგენენ კერძო კომპანიებს, მაგრამ მათი ბრუვა ძალიან დიდია და დადებით როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის განვთარებაში.

საქართველოში ძირითადად ხორციელდება რეინვესტიცია და სააქციო ინვესტიცია, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკურ-სოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით, ტურიზმის სფეროში არსებული ტერიტორიების ინვესტირება და განაშენიანება ქმნის უამრავ სამუშაო ადგილს. ხოლო სააქციო ინვესტიციის შემთხვევაში ხდება სახელმწიფოს მსხვილი ბრუნვის მქონე საერთაშორისო დონის კომპანიებთან ურთიერთობა და ქვეყანაში ხორციელდება დიდი რაოდენობით ივესტიციების შემოდინება, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სახელმწიფო ფულადი ერთეულის სავალუტო კურსის გამყარებაზე.

დასკვნის სახით შეიძლება აღნიშნოს, რომ საქართველოში ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოა და ბევრი კომპანია ჩართულია ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში, ქვეყნის დიდი ტეიტორია დაფარულია ინტერნეტ სიხშირით, მოსახლეობის 80% ჩართულია ინტერნეტში, ასევე ქვეყანაში ხორციელდება ინპორტ-ექსპორტი.

დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლოა აღინშნოს, რომ XX საუკუნის შემდგომ მსოფლიოში განვითარდა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება, რამაც გამოიწვია მასშტაბური გლობალიზაცია. თავდაპირველად ტერმინ „გლობალიზაციას“ ჰქონდა ეკონომიკური დატვირთვა, ხოლო შემდეგ მას ფართო და ყოვლისმომცველი, დედამიწაზე მიმდინარე პროცესების მნიშვნელობა მიენიჭა. გლობალიზაცია შეეხო ყველა სფეროს ეკონომიკას, კულტურას, ტრადიციებს. მოხდა სხვადასხვა ცივლიზაციების შერწყმა. წაიშალა საზღვრები ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ განმასხვავებელ სფეროებში და თვით ქვეყნებიც გახდნენ ინტერნაციონალურები. ყოველივე ეს მკაფიოდ არის ასახული თითოეული ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, მენტალურ და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში.

საქართველოს, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყანას, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გადატანა მოუხდა. ის მიეკუთვნება გარდამავალი ეკონომიკის რეფორმის პერიოდში მყოფ ქვეყანას და მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, როგორც ექსპორტს ისე ქვეყნის შიგნით შემოსულ ინვესტიციებს, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის მდგრადობას, სამუშო ადგილების შექმნას და ქვეყანაში არსებული ფულადი ერთეულის გამყარებას სავალუტო ბირჟაზე.

გლობალიზაციის პროცესში საქართველო დგას გამოწვევის წინაშე, ის წარმოადგენს პატარა ქვეყანას, მას არ აქვს ენერგო რესურსები, იმყოფება პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციასა და ეკონომიკური კრიზის პროცესში. ეკონომიკის გლობალიზაციაში საქართველოს მონაწილეობა, ამიტომ აუცილებელია, რესურსების განვითარება ეკონომიკის გამოცდილი თეორიების გათვალისწინებით, და ახალი ეკონომიკის შექმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო წარმოადგენს დიდი ქვეყნების პატარა მეზობელს და მისი ტერიტორიების 20% ოკუპირებული აქვს სახელმწიფოს, რომელთან ეკონომიკური ურთიერთობის შეწყვეტამ უდიდესი დარტყმა მიაყენა ქვეყანას. გლობალიზაციის პროცესში ხშირად ხდება ასე, რომ ერთი ქვეყანა დამოკიდებული ხდება მეორეზე ენერგო, სატრანზიტო ან სხვა სახის სასიცოხლოდ მნიშვნელოვანი საშუალებების გამო, რაც შემდგომ პოლიტიკური სპეკულაციების საგანი ხდება.

ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფო ეკონომიკის განვითარება ისე, რომ ქვეყანა არ იყოს დამოკიდებული ძირითადი ეკონომიკური რესურსით მეზობელ ქვეყნებზე. მითუმეტეს, რომ საქართველო წარმოადგენს ქვეყნას, რომლსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სატრანზიტო თალსაზრისით კავკასიის რეგიონში. საქართველოს უპირატესობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია მისი უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც ქვეყნას ეხმარება გლობალურ პროექტებში აქტიურად მიიღოს მონაწილეობა. არსებობს რამდენიმე სატრანსპორტო-კომუნიკაციური და გლობალურ-ენერგეტიკული პროექტი, რომელიც საქართველოს, როგორც ევროპა-აზიას შორის სატრანზიტო ქვეყანას კიდევ უფრო გაეზრდება ფუნქცია. ბაქო-სუფსის მოქმედი ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს მომავალი სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც ევროპას ყაზახეთთან და ჩინეთთან აკავშირებს. სწორედ ამ მაგისტრალით გაეზრდება ფუნქცია ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ეკონომიკაში. პროექტის დასრულების შემდეგ ჩვენ მივიღებთ თანამედროვე "აბრეშუმის გზას", ამ მაგისტრალით ყარსში მყოფი ადამიანი ყაზახეთის გავლით მოახერხებს შანხაისა და ჰონგკონგში ჩასვლას. თანამედროვე „აბრეშუმის გზა" ე.წ. "მარმაის პროექტს" მიებმება, რომელიც გულისხმობს ბრიტანეთიდან წამოსულ ტრანსპორტს თურქეთის გავლით ჩინეთში ჩასვლის საშუალებას მისცემს. ამ მაგისტრალით ასევე შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად დაახლოებით 20 მლნ ტვირთის გადატანა.

თუმცა დასკვნის სახით უნდა ღინიშნოს, რომ მიუხედავად არსებული რესურსებისა, გლობალიზაციის პროცესი განსაკუთრებული სიმწვავითა და წინააღმდეგობით გამოირჩევა, რადგან საქართველოში ჯერ კიდევ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცის პროცესი მიმდინარეობს. გლობალიზაციის ფუნდამენტურ პრინციპებთან შეთავსების გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, რასაც მსოფლიო პრაქტიკა ნათლად ადასტურებს.

ამიტომ, სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესში ჩართვა, მთელი რესურსით ისე, რომ დაცული იყოს ბალანსი და შენარჩუნდეს საქართველოს ინდივიდუალურობა მსოფლიოს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით.

დასკვნით ნაწილში აუცილებელია აღინიშოს ტურიზმის განვითარება და მისი როლი საქართველოს გლობალიზაციის ჩართვის პროცესში. ტურიზმი გადაზიდვებთან

შედარებით მეტად განვითარებული და მზარდი მაჩვენებლით გამოირჩევა, ეს განპირობებულია სახელმწიფოს მცდელობით მოიზიდოს ბევრი ტურისტი. ასევე ადგილობრივი დასაქმებული ადამინების შემოსავლის წყარო საკურორტო ზონებში მხოლოდ ტურიზმიდან შემოსული თანხაა და ისინი ცდილობენ განავითარონ ტურისტული მომსახურება და მოიზიდონ სულ უფრო მეტი ტურისტი რაც დადებითად აისახება ტურიზმის სფეროში არსებულ მონაცემებზე. ბოლოწლებში ქვეყნის გარედან ვიზიტორი ტურისტების რიცხვი ყველა წელს მატულობს. ეს დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, შემოსავლის ზრდაზე და სამუშაო ადგილების რაოდენობაზე. თუმცა ამას ახლავს თან უარყოფითი მომენტი რასაც ქვია გლობალიზაციის გავლენა ქვეყნის კულტურაზე, ხდება მისი ინდივიდუალიზმის გაქრობა და შერწყმა სხვა კულტურებთან.

მნიშვნელოვანი აღინისნოს, რომ საქართველოში ძირითადად ხორციელდება რეინვესტიცია და სააქციო ინვესტიცია, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკურ-სოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით, ტურიზმის სფეროში არსებული ტერიტორიების ინვესტირება და განაშენიანება ქმნის უამრავ სამუშაო ადგილს. ხოლო სააქციო ინვესტიციის შემთხვევაში ხდება სახელმწიფოს მსხვილი ბრუნვის მქონე საერთაშორისო დონის კომპანიებთან ურთიერთობა და ქვეყანაში ხორციელდება დიდი რაოდენობით ინვესტიციების შემოდინება, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სახელმწიფო ფულადი ერთეულის სავალუტო კურსის გამყარებაზე. თუმცა საჭიროა გარკვეული რეგულაციები სახელმწიფოს მხრიდან უცხოური ინვესტიციების შეთხვევაში, რათა არ მოხდეს ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში ეროვნული ინტერესების გაუთვალისწინებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი. რ., „გლობალიზაცია ეკონომიკური თეორია და საქართველო“, თბ. 2010
2. ბარათაშვილი ე. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები თბილისი 2009
3. ბურდული თ. „ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე“ თბ. 2015
4. ბაქრაძე გ. 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები , თბ. 2014
5. ბაქრაძე. გ სამეცნიერო ჟურნალების სატატიათა კატალოგი 2014 ტომი 2,N2 5
6. დავითაშვილი ზ. „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“ ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ 2003
7. დობორჯგინიძე. გ. „ლოგისტიკის როლი ქართული ეკონომიკის განვითარებაში“. 2014
8. ერდორფი პ, შელდონი პ, ფეზენმაიერ დ. ,,ტურიზმის საინფორმაციო ტექნოლოგიები“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბ. 2015
9. თოქმაზაშვილი მ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“ სამეცნიერო-პრაქტიკული ჟრნალი 2016 N2
10. თეთროაშვილი ზ. „ეკონომიკური დემოკრატია“ თბილისი 2006
11. მექვაბიშვილი ე. „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა თბ. 2018
12. მექვაბიშვილი ე. „თანამედროვე კონომიკური თეორიები“ ლექციების კურსი 2009
13. მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები.,თბ. 2009 გვ
14. მექვაბიშვილი ე. „ თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“ ,თბ. 2016
15. მეტრეველი მ. ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარება თსუ. თბილისი 2007
16. მეტრეველი მ. ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარება თსუ. თბილისი 2007

17. პაპავა ვ. „ეკონომიკური მეცნიერების თეორიული და პარადიგმული საფუძვლები“ თბ. 2018 წ
18. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025
19. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის ოცი წელი” 2013
20. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020
21. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ 2014.
22. ხადური.ნ., „ეკონომიკური სისტემა საქართველოში“. თბ. 2013
23. ხურცია.ლ საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში 2015
24. International Journal of Business and Social Science Special Issue – December 2011
25. Thurow L. The Future of Capitalism: How Today's Economic Forces Shape Tomorrow's World 1999
26. Tema.news.com 12 most technologically advanced nations in the world 2014
27. Heilbroner R. The Worldly Philosophers: The Lives, Times And Ideas Of The Great Economic Thinkers, Seventh Edition Aug 10, 1999
28. Неклесса А. „ГЛОБАЛЬНЫЙ НЭП: ГЕОЭКОНОМИКА И СЕТЕВАЯ КУЛЬТУРА“ 2004. №1.
29. Неклесса А. „ГЛОБАЛЬНЫЙ НЭП: ГЕОЭКОНОМИКА И СЕТЕВАЯ КУЛЬТУРА“ 2004. №1.
30. Еженедельный анализ отчетов СОТ на 13.10.2014

ელექტრონული რესურსი

1. https://sputnik-georgia.com/economy/20180202/239164176/eqsperti-satranzito-potencialis-ganviTareba-saqarTvelos-mogebas-ar-moutans.html
2. http://igstraveltogeorgia.asm.ge/index.php?Cat=NeWs&Cat_id=214
3. http://www.tetrebi.org/?p=12481
4. https://www.interpressnews.ge/ka/article/274690-logistikis-roli-kartuli-ekonomikis-ganvitarebashi/?ar
5. https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf
6. http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf
7. https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf
8. http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transform ation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf
9. http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transform ation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf
10. http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Geor gia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf
11. https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf
12. https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf
13. https://gtmarket.ru/library/articles/477

ცხრილების და დიაგრამების ნუსხა

1. **ცხრილი. N.1.2 1** ტექნოლოგიური რევოლუციის ფაზები..... 19
2. **ცხრილი. N 1.2. 2** ტექნოლოგიური რევოლუციური ფაზები ქვეყნების მიხედვით 20
3. **ცხრილი. N 1. 3. 1** ეკონომიკის გლობალიზაციის ძირითადი გამოწვევები 23
4. **ცხრილი 3.3.1** განხორციელებული ინვესტიციების საერთო მაჩვენებელი 1016-2018 წლებში 84
5. **გრაფიკი N1.3 1** მშპ-ს მაჩვენებელი 28
6. **გრაფიკი N3.1.1** ტვირთების გადაზიდვა რკინიგზისა და ავტოტრასპორტის მეშვეობით 61
7. **გრაფიკი N 3.1.2** სტანსპორტის მოძრაობა საქართველოს ტრანზიტის გავლით წლების იხედვით 62
8. **გრაფიკი N 3.2.1** ტურიზმის აუცილებელი კომპონენტები 67
9. **გრაფიკი N 3.2.2** 2011-2018 წლების მიხედვით ტურისტი ვიზიტორების სტატისტიკა..... 71
10. **გრაფიკი N 3.2.3** ტურისტული ვიზიტის მიზანი 72
11. **გრაფიკი N 2.3.1** საქართველოში განხორციელებული პირდაპირი და უცხოური ინვესტიციები 81
12. **გრაფიკი 2.3.2** უმსხვილესი პირდაპირი ივესტორი ქვეყნები 2018 წელი 8